# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 3 ივლისი 1997 №76 (441) | ფასი 40 თეთრი

## მეცხრე ჩემპიონატი თუ მეცხრე ტალღა?


ბადრი ქათილაძის ფოტო

**35 დღეში საქართველოს მეცხრე საფეხბურთო ჩემპიონატიც დაიწყება. ახალი სეზონის პირველი წრის კალენდარი უკვე შედგენილია და დღესვე მესამე გვერდზე გთავაზობთ. კალენდრის შედგენა თბილისური გუნდების მომრავლებამ დააგვიანა და ამავე მიზეზით წინა ჩემპიონატებში გამოყენებული პრინციპი დაირღვა. სამაგიეროდ, თბილისურ კლუბთა თამაშების ზედდება მაქსიმალურად თავიდანაა აცილებული. პირველ ტურში თამაშობენ:**

**1 ტური**

**7 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| კოლხეთი | - | თსუ |
| მერანი | - | გურია |

**8 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| დინამო | - | მეტალურგი |
| დილა | - | სამგურალი |
| მარგვეთი | - | მორკინალი |
| ტორპედო | - | ლოკომოტივი |
| ოდიში | - | მაღაროელი |
| ბათუმი | - | სიონი |

## ვიერი ნამეტანი ძვირი ყოფილა

ეს ოთხშაბათი დიდი საფეხბურთო მატჩებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ტრანსფერების მხრივ მეტად დახუნძლული გამოდგა. უპირველესი აღნიშვნის ღირსი „იუვენტუსის“ გარიგებანია — ამან 20 მილიონ დოლარად კრისტიან ვიერი მადრიდის „ატლეტიკოს“ მიჰყიდა, თავად კი „რომას“ ურუგვაელი თავდამსხმელი დანიელ ფონსეკა შეიძინა, თუმცა რამდენად, ჯერ არ ამხელს. ვიერი მყავსო და, „ატლეტიკომ“ ეგრევე გაუშვა არგენტინელი ხუან ესნაიდერი, რომელმაც გუშინ „ესპანიოლთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახალი ფეხბურთელით გაძლიერდა უეფას თასის მფლობელი „შალკეც“: ოთხწლიანი კონტრაქტი დაუდო გასულ სეზონში იტალიის „ჯენოაში“ მოთამაშე ბელგიელ თავდამსხმელ მაიკლ გუსენს.

## რომეო და ალვარო

კუალა ლუმპურში გუშინ ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები ირკვეოდა. არგენტინელებმა და ირლანდიელებმა ერთად ოცამდე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთი — ბერნარდო რომეოს დარტყმული — გავიდა ირლანდიელთა კარში და არგენტინამაც ფინალში თამაში დაიბევა. ოთხი საათის მერე გაირკვა მეორე ფინალისტი — ურუგვაი. განამ 44-ე წუთისთვის ორი ბურთით დაწინაურებულ სამხრეთამერიკელებს 78-ისთვის ორივე გაუქვითა, მაგრამ დამატებით დროში, პირველ გატანილ გოლამდე რომ იყო, კაცნაკლულ მეტოქეს ვერაფერი დააკლო, 104-ე წუთზე კი საკუთარ კარში „ოქროს გოლის“ გატანის მოწმე შეიქნა — ამ თამაშის გმირი ალვარო პერეა გახდა.

## შარშანდელი ჩემპიონი გავარდა

22 წლის ოქსფორდელ ტიმ ჰენმანს აქვს შანსი, გახდეს უიმბლდონში გამარჯვებული პირველი ბრიტანელი ბოლო 61 წლის მანძილზე. ბოლოს ეს ფრედ პერიმ მოახერხა 1936 წელს.

ჰენმანმა უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი დაამარცხა. წვიმის გამო შეწყვეტილი მატჩის მეოთხე პარტია ოცდათორმეტ წუთში დაამთავრა თავის სასარგებლოდ და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწია — 7:6, 6:7, 7:6, 6:4. ჰენმანი ზედიზედ მეორედ გავიდა უიმბლდონის მეოთხედფინალში, მაგრამ მისი წლევანდელი მიღწევა უფრო ღირსეულია, რადგან უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონს მოუგო. უკანასკნელი ბრიტანელი, რომელმაც ეს შეძლო, როჯერ ტეილორი გახლდათ. მან 1970-ში წინა წლის გამარჯვებული, სახელგანთქმული ავსტრალიელი როდ ლეივერი დაამარცხა.

ცენტრალურ კორტზე, აღფრთოვანებული გულშემატკივრების თვალწინ, რომელთა შორის ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც იყო, ჰენმანი სიხარულს ვერ მალავდა: „ძალიან ვამაყობ ჩემი გამარჯვებით. ასე ჯერ არ მითამაშია. უიმბლდონის ჩემპიონის დამარცხება მხოლოდ ძლიერი თამაშით შეიძლება და მეც ერთობ მოვიწადინე.“

რა თქმა უნდა, სხვაგვარ განწყობაზე იყო კრაიჩეკი: „ასე ცუდად ჩემს დღეში არ მითამაშია, მეტოქე შეუდარებელი იყო.“

სანამ ვაჟები მეოთხედფინალში გასვლისთვის იბრძოდნენ, ოთხმა ქალმა ეს წინაღობაც გადალახა. კვლავ წარმატებით ასპარეზობს რუსი ანა კურნიკოვა, რომელმაც ადრინდელ დამარცხებულებს „როლან გაროსის“ ჩემპიონი ივა მაიოლიც მიაყოლა. რუსმა, რომელსაც მხოლოდ სამი კვირის წინ შეუსრულდა 16 წელი, ორ ხელში მოუგო 19 წლის ხორვატს — 7:6, 6:4.

28 წლის ჩეხმა იანა ნოვოტნამ, ვისთვისაც ეს მეთორმეტე უიმბლდონია, მეოთხედფინალში მოხვედრილი ერთადერთი აზიელი იაუკი ბასუკი (ინდონეზია) დაამარცხა 6:3, 6:3. ნოვოტნასთვის ეს უიმბლდონის მეხუთე მეოთხედფინალი იყო, საიდანაც ნახევარფინალში უკვე მესამედ გავიდა, ერთხელ კი, 1993 წელს, ფინალშიც მოხვდა, სადაც შტეფი გრაფთან წააგო.

ორი ჩეხი ნახევარფინალში უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ასეც აღმოჩნდა: მარტინა ჰინგისმა „ზედმეტი“ ჩეხი დანისა ხლადკოვა მოიშორა — 6:3, 6:2.

**ქალთა ნახევარფინალები: კურნიკოვა — ჰინგისი; ნოვოტნა — სანჩესი.**

**ვაჟთა მეოთხედფინალები: რუზედსკი — პიოლინი; სამპრასი — ბეკერი; კიფერი — ვუდბრიჯი; ჰენმანი — შტიხი.**

**იხილეთ მეხუთე გვერდი**


ჩემპიონის მძლეველი ტიმ ჰენმანი

## ბოდიში ნამალი რომ იყოს



**ორშაბათი** ტაისონის დღეობა იყო. ყურზეკბენია მოკრივე 31 წლისა შესრულდა. ლხინის გადახდის მაგივრად ნაციხარი ექს-ჩემპიონი ლას-ვეგასის "ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში" მიბრძანდა და საგანგებოდ მოწყობილი კათედრიდან ბოდიში მოიხადა. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ოთხი ნაბეჭდი თაბახის (3316 ასოს) წაკითხვას მაიკმა ოთხი წუთი და 16 წამი მოანდომა, რაც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

ტაისონმა განაცხადა, რომ ჰოლიფილდთან ხელმეორედ შებმა მისი კარიერის უცუდესი მომენტი იყო; რომ შენდობას ითხოვს და რომ მსგავსი რამ არც მანამდე ჩაუდენია და არც მომავალში ჩაიდენს.

მაიკმა მოუბოდიშა მთელს მსოფლიოს, თავის ოჯახს, ნევადის ათლეტურ კომისიას; მსაჯულ პატრიშა გიფორდს, რომელმაც შეიწყალა და ციხიდან ნაადრევად გამოაშვებინა; ზემოთხსენებულ ოტელს, საკაბელო სისტემა „შოუთაიმს“, პირად პრომოუტერ დონ კინგს, თავის გუნდს და, რა თქმა უნდა, დიდ საკრივო ქალაქ ლას-ვეგასს.

ტაისონმა შენიშნა, რომ როცა წარბი გაუსკდა, გონება აებნა. მის დარად თურმე სხვა დიდი ათლეტებიც მოქცეულან ულირსად; ყურზე კბენა რაა, მსაჯისთვის სახეშიც კი შეუფურთხებიათო. ერთი კია, ეს მაიკს თურმე ოდნავაც ვერ ამართლებს — თავი დამნაშავედ მიაჩნია.

მოკრივემ თქვა, რომ რაგინდარა დისკვალიფიკაციაზე ყაბულსაა. მხოლოდ იმასა თხოულობს, რომ რინგზე გასვლა სამუდამოდ არ აუკრძალონ; სხვაფრივ, მზადა ყოფილა, რომ სასჯელის მოხდას დაუყოვნებლივ შეუდგეს.

ტაისონმა ყურმოჭმულ ევანდერ ჰოლიფილდსაც პირადად მოუბოდიშა. შეუთვალა კიდეც, ნაღდი ჩემპიონი ხარ და დიდ პატივსა გცემო. მერე ექს-ჩემპიონი გადაწვდა იმ ხალხსაც, კრივიდან მის მოკვეთას რომ ითხოვს. ამათ შეახსენა, რომ ქუჩაში გაიზარდა, რომ დამრიგებელი არავინ ყოლია, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით დააღწია თავი გასაჭირს და უკან მიბრუნებას არ აპირებს.

მოკრივე საზოგადოებას შეპირდა, ჭკუას ვისწავლიო. შველისთვის ექიმებისთვისაც მიუმართავს. ხორცის გაწვრთნის გარდა ახლა თურმე სულსაც უფრო ჩაუღრმავდება და თავისი ღმერთის შემწეობის იმედიცა აქვს.

**ბოდიში** ბოდიშად, ნევადის კრივის მამები კი სამშაბათს შეიყარნენ, მოკრივეს მყისი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, მისი სარგო 30 მილიონი დოლარი დააყადაღეს, საქმის საფუძვლიანად გარჩევა კი 8 ივლისისთვის დანიშნეს. სარწმუნო წყაროების თანახმად, ცთომილ მოკრივეს ერთი წლის განაშორებენ სარბიელს, ჰონორარიდან კი 10 პროცენტს ანუ სამ მილიონ დოლარს დაუქვითავენ. ახალი ფედერალური კანონის თანახმად, ეს განჩინება სხვა შტატებისთვისაც სავალდებულო იქნება, თუმც კი როგორც ტაისონის ვექილმა განაცხადა, მისი კლიენტი განაჩენის გასაჩივრებას არც აპირებს.

ჰოლიფილდი ტაისონს ამ კვირაში აღარ შეხვედრია. რა შეიტყო ბოდიშის ამბავი, კმაყოფილი დარჩა და მედიას უთხრა, თავის დროზე კაცურად დაველაპარაკებიო.

**ვალერი ჯიქია**

## სტეფანიას მოლოდინში

საქართველოს 22 წლამდე კალათბურთელთა ნაკრები 16 ივნისიდან ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელიც სოფიაში გაიმართება. გუშინწინ ჩვენი გუნდი გაემგზავრა სოფიაში, სადაც ჯერ ბალკანიადაზე იასპარეზებს, შემდეგ იქვე ათდღიან შეკრებას მოაწყობს და შესარჩევი ტურნირიც დაიწყება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა სოფიაში ათი კალათბურთელი წაიყვანა: ვახტანგ ნაცვლიშვილი, ლევან ქარაბაკი, ვასილ ოთიურიძე, ვანო მეჭურჭლიშვილი, ირაკლი ხოშტარია, ირაკლი მაისურაძე, თორნიკე ნინიაშვილი, დავით ჩიქოვანი, დავით ბერძენიშვილი და შალვა მაჭარაძე. 16-ში თანაგუნდელებს ვლადიმერ სტეფანიაც უნდა შეუერთდეს.

## გოგოლაძემ საგზური ჩაიჯიბა

ლივერპულში დასრულდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ლიცენზიები „რიგდებოდა“. კობა გოგოლაძემ (60 კგ) ძალიან იყოჩაღა — პირველი ადგილით და ნანატრი ლიცენზიით დაბრუნდა შინ. კობამ ფინალამდე სამი ბრძოლა მოიგო, გადამწყვეტში კი ესტონელ სტარიკოვს შეხვდა. ძალით გამორჩეული სტარიკოვი ფინალშიც ლონის იმედზე იყო, მაგრამ კობამ და მისმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ ტაქტიკურად სწორად წარმართეს ბრძოლა, მეხუთე რაუნდში მსაჯმა სტარიკოვს ცხრამდე კი ვერა, მაგრამ ნოკდაუნისთვის საკმარისად მაინც დაუთვალა და საბოლოოდ გოგოლაძემ 14:4 მოიგო. ლივერპულში მესამე ჩვენებური ტურნირზე სამსაჯოდ მიწვეული საერთაშორისო რეფერი დავით ქავთარაძე გახლდათ.

**კალათბურთი**

## ხვალ მეოთხედფინალებია

ევროპის ჩემპიონატზე გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები: საბერძნეთი — პოლონეთი, იუგოსლავია — ლიტვა, იტალია — თურქეთი, რუსეთი — ესპანეთი.

**იხილეთ მეშვიდე გვერდი**

## კოლხეთმა ძულა აიღო

21 ივნისს ფოთის „კოლხეთი“ 16 დღით ბულგარეთს გაემგზავრა შეკრებაზე. კოლხები ქალაქ ნესებირში მოეწყვნენ და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ შეკრებაზე 22 ფეხბურთელი იახლა, აქედან 3 ახალწვეულია. დინამოელი ზაზა ზამთარაძე, ოზურგეთელი ილო ქუტიძე და არმიელი ლაშა მონასელიძე „კოლხეთს“ გააძლიერებენ, ხოლო ტორპედოელები — ვახტანგ ხვადაგიანი, კახა კვეტენაძე და კოტე მეტრეველი მათთან ერთად მხოლოდ უეფას თასზე ითამაშებენ. აწ უკვე ყოფილი კოლხი დავით სოლოღაშვილი „ბათუმში“ რომ გადავიდა, ადრეც გაუწყეთ, მამუკა ბულუხიაც მის დარად ტრანსფერზეა დაყენებული. როგორც კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ვახტანგ ხაინდრავამ გვაცნობა, „კოლხეთს“ ამხანაგური მატჩიც უთამაშია, ოღონდ რომელ ბულგარულ კლუბთან, ჯერჯერობით უცნობია. თამაში ფრედ 1:1 დამთავრებულა. გუნდის ხელმძღვანელობას კიდევ რამდენიმე მატჩი დაუგეგმავს, რომელთაგან ბოლო 8 ივლისს ჩატარდება. 10-ში „კოლხეთი“ საკუთარ ქალაქს ესტუმრება და საბოლოოდ მაშინ გაირკვევა გუნდში დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობაც.

## დაჩაჩანაკდა სამტრედია!..

მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი „სამტრედია“ რომ სულ მთლად დაჩაჩანაკდა, უკვე გაუწყეთ. ამ გუნდმა ყველაფერი დაკარგა, რისი გაფლანგვაც შეიძლებოდა. სამტრედიელებმა მხოლოდ ჯიხაიშის ბაზას და „ეროსი მანჯგალაძის“ სტადიონს ვერ მოუხერხეს ვერაფერი, მაგრამ უყურადღებობა და ჟამთა სიავე მათაც მოუთავებს ხელს. პრეზიდენტი წავიდა, მოთამაშეები გაიქცნენ, აბა უფულო გუნდი ვის რად უნდა. რაიონის ხელმძღვანელებს ფეხბურთი არ აინტერესებთ და დარჩა ყოველივე ობრად. „სამტრედიის“ ყველა ტრადიციაც მალე დაიმარხება. გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა ვნახეთ, რომელიც სატრანსფერო კომისიის სხდომაზე მივიდა, სადაც ბოლნისელი მურმან გოგოლაძის და სამტრედიელი ვასო პავლიაშვილის საქმე ირჩეოდა. პირველმა „სამტერდიაში“ ოდენ ხუთი მატჩი ითამაშა, მერე ტრავმა მიიღო, ხოლო მეორე წრეში „სიონში“ დაბრუნდა. პავლიაშვილს გუნდიდან წასვლა სურს, ეგ დარჩენილა მხოლოდ. ორივესთან ფინანსური პრეტენზიები ჰქონდათ სამტრედიელებს, მაგრამ სატრანსფერო კომისიამ ფეხბურთელები გაამართლა, რადგან მათ ადრინდელი კლუბისგან კაპიკი არ მიუღიათ. ჩაჩუას „სამტრედიის“ მომავლის შესახებ ვკითხეთ — მე კლუბიდან წამოვედი. გუნდი, ალბათ, მეორე ჯგუფში ითამაშებს, მაგრამ მთლიანად სპორტსკოლის აღსაზრდელებით დაკომპლექტდებაო.

დასანანი კია, მაგრამ ფაქტიც ჯიუტია. „სამტრედია“ დაჩაჩანაკდა.

## თსუ ლაგოდეხით დაიწყებს

თბილისურ თსუ-ში მომხდარი ცვლილებები ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის არახალია. ისიც გაუწყეთ, თსუ „შევარდენის“ სტადიონიდან რომ აიყარა და მცხეთაში გადასახლდა. უნივერსიტეტელები ჯერ შეკრებაზე არ არიან, მაგრამ დღეში ორჯერ მაინც ვარჯიშობენ. მცხეთის სტადიონს შელამაზება სჭირდება. სათამაშო მინდორზე ბალახს სეზონის წინ მოვლა და მოლონიერება არ აწყენს, ამიტომ თსუელებს ასპარეზად სოფელ მუხრანის სტადიონი აურჩევიათ. გუნდი ვარჯიშებს და საკონტროლო თამაშებს იქ ატარებს. კლუბის ხელმძღვანელობას გუნდის დაკომპლექტება ჯერ არ დაუმთავრებია, მაგრამ იმედოვნებენ, რომ 11 ივლისისთვის ყველაფერი მოგვარდება. იმ დღეს თსუ ლაგოდეხს გაემგზავრება შეკრებაზე, იქიდან ჩამოსულები კი ორიოდ დღეს დაისვენებენ და მორიგ შეკრებას ამჯერად ყვავილნარში მოაწყობენ. ჩემპიონატის პირველი მატჩი უნივერსიტეტელებს გასვლაზე, ფოთში უწევთ. ჰოდა, ხელმძღვანელობამ ყვავილნარის შეკრება ისე დაგეგმა, რომ 7 აგვისტოს გუნდი პირდაპირ იქიდან ეწვიოს სათამაშოდ „ფაზისის“ სტადიონს.

**„ლოკომოტივის“ სტადიონზე მისულს ჩვეული ჟითარება დამხვდა. ფეხბურთელები და მორაგბეები კვლავ ვერ თანხმდებოდნენ. თურმე, ვაკის სტადიონზე საღამოს 8 საათზე I ჯგუფის დებიუტანტ „ლოკომოტივს“ ვარჯიში ჰქონდა დაგეგმილი, ამასობაში კი მორაგბეებს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი გაეჩაღებინათ. ფეხბურთელთა პრეზიდენტი რობიზონ ქინქლაძე გულმოსული იყო:**



# რობიზონ ქინქლაძე თანასწორობას ითხოვს

— საქმით ვაჩვენებ, რაგბის მტერი რომ არ ვარ, მაგრამ ნაშრომ-ნალოლიავებ მოედანს ერთი თამაშით აფუჭებენ და მთელი შრომა წყალში გვეყრება. როგორ ვარ რაგბის მტერი, როცა სათადარიგო მოედანს მორაგბეებისათვის ვაკეთებ? ძირითადს თამაშებისთვის დავასვენებთ. ამ ხნის მანძილზე მეორე მოედნის გაკეთება აზრადაც არავის მოსვლია, მე კი, ფეხბურთში გუშინ მოსულმა, გამოსავალი დავინახე.

...ზემოთნათქვამი არახალია, ძველი დავაა და, ღმერთმა უწყის, როგორ და ვის სასარგებლოდ გადაწყდება. თავად „ლოკომოტივზე“ მოგითხრობთ. გუნდი უკვე მზადებას შეუდგა, რამდენიმე ახალი მოთამაშეც დაიმატა, მაგრამ ჯერ არ გარკვეულა, ვის დაიტოვებენ. გორის „დილას“ მეკარე თემურ ვოლკოვი თსუ-ს პირობებს არ დაუკმაყოფილებია და „ლოკომოტივში“ თამაში სურს. „დილასვე“ თავდამსხმელი გრიგოლ გვაზავა საბერძნეთში, II დივიზიონის „პანახაიკოსში“ იმყოფებოდა გასინჯვაზე, თუმცა, იქაურებს ვერც იგი შეუთანხმდა და, ალბათ, კვლავ საქართველოში ითამაშებს. აქვე „სიონის“ მურად ყაველაშვილი და რუსთაველები — მამუკა მელაძე და ზაზა პატარიძეც ვარჯიშობენ. როგორც ყაველაშვილმა თქვა, ისინი ძოძუაშვილის ზარს ელიან, რომელიც მათ ლატვიაში ანაც გერმანიაში ჰპირდება საქმის გაჩარხვას. „ლოკომოტივში“ ყოფილ სიონელ ჩომახიძესაც აკვირდებიან. საერთოდ, რკინიგზელთა მთავარ მწვრთნელს კობა ჟორჟიკაშვილსა და გუნდის უფროსს და შეთავსებით მწვრთნელს, წარსულში სახელოვან მეკარე სერგო კოტრიკაძეს 35 მოთამაშისგან მოუწევთ საგანაცხადოთა შერჩევა.

გუნდის პრეზიდენტს რობიზონ ქინქლაძეს დღევანდელ პრობლემებსა და მზადებაზე ვესაუბრეთ.

— გუნდს გაძლიერება ესაჭიროება. სხვაგვარად მხოლოდ I ჯგუფში დამკვიდრებაზე ფიქრს უნდა დავჯაბულდეთ, ჩვენი სურვილი კი ევროთასებზე მოხვედრაა. ამჟამად „ლოკომოტივში“ 35 მოთამაშე ვარჯიშობს. 25 კაცი 5 ივლისიდან ურეკში გაემგზავრება, 25-ში შეკრებას დავასრულებთ და დამრჩენთა ვინაობასაც გავარკვევთ.

ვიმეორებ, ჩვენ სამეულში მოხვედრა და ევროთასებზე გასვლა გვსურს: ეს სავსებით შესაძლებელია, თუ რკინიგზის თავკაცები დაგვეხმარებიან. უპირველესად ჩვენი დიღმის ბაზის დაბრუნებას ვგულისხმობ. იმედია, იქ დასახლებულ ლტოლვილებს შესაფერის საცხოვრებელს მოუძებნიან. ამით ჩვენ თამაშისწინა აუცილებელი 2-3 დღიანი შეკრების მოწყობის შესაძლებლობა გვექნება. მანამდე კი „ლოკომოტივის“ სტადიონის სასტუმროში მოგვიწევს დაბინავება.

**— ცხადია, ჩემპიონატის გახსნამდე „ლოკომოტივის“ გაპარტახებული სტადიონი უმალ ვერ გაკოხტავდება, მაგრამ რაღაც ხომ უნდა იღონოთ?**

— ნოდარ ახალკაცმა რკინიგზის დეპარტამენტის თამჯდომარეს — აკაკი ჩხაიძეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ჩემპიონატამდე სტადიონის მოწესრიგებას სთხოვდა. ერთ-ერთ სამშენებლო ფირმასთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და ალბათ, აგვისტოს პირველ რიცხვებამდე ფედერაციის მოთხოვნები შესრულდება. ვნახოთ, იმედია, სიტყვა საქმედ იქცევა. ეროვნული სტადიონის დირექტორმა ნუკრი კაკილაშვილმაც აღგვითქვა დახმარება — იტალიელები რეკონსტრუქციას რომ დაიწყებენ, მათთვის გამოუსადეგარ ნივთებს ჩვენ დაგვითმობენ.

**— თქვენი საუბრით, ვფიქრობ, თავისთავად უპასუხეთ მითქმა-მოთქმას — ამ ერთ წელიწადში რობიზონ ქინქლაძემ იმდენი სიბინძურე ნახა ფეხბურთში, შესაძლოა, გუნდს შეეშვას კიდეცო...**

— სანამ II ლიგაში პირველი წრე დასრულდებოდა, ჩემამდე ხმებმა მოაღწია — 9-ქულიანი უპირატესობის მიუხედავად (მაშინ პირველზე ვიყავით), მაინც გადათამაშება მოგიწევთო. ასეც მოხდა. განგებ გააკეთეს ეს თუ სხვა მიზეზი იყო, ვერ გეტყვით. მსაჯებსაც ვერაფერს დავაბრალებ. უბრალოდ, ხშირად ასე ხდებოდა — ჩვენი მატჩის მეორე დღეს „მორკინალი“ თამაშობდა. ვინ შეადგინა ასეთი კალენდარი, ძნელი სათქმელია. არ მსურს მეორე ადგილზე გასვლა კალენდარს დავაბრალო, მაგრამ, წესით და რიგით, ყველა გუნდი ხომ ერთ დღეს და ერთნაირ პირობებში უნდა თამაშობდეს?

**— თქვენ ბრძანეთ, სამეულში მოხვედრა გვსურსო. ეს შეუძლებელი არ უნდა იყოს, მაგრამ არც იოლია...**

— ჩვენი გარჯით, პროფესიონალიზმითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ეს სავსებით შესაძლებელია, თუ არ იქნა სატელეფონო ზარები — ეგებ მავანი მოთამაშე შემადგენლობაში დააყენოთო და ასე შემდეგ. წელსაც მხოლოდ და მხოლოდ გარჯამ გადაგვიყვანა I ჯგუფში. ახალ სეზონში დასახული მიზნის მიღწევასაც ასე ვაპირებთ.

**— კობა ჟორჟიკაშვილი ოფიციალურად დაინიშნა მთავარ მწვრთნელად?**

— მან ფეხბურთს თავი დაანება და მისი დანიშვნა უკვე ოფიციალურად შეგვიძლია. მე კობას დიდი იმედი მაქვს, ნიჭიერი და წესიერი კაცია. მას მცხეთის „არმაზის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი მერაბ ხუცურაული დაეხმარება, გუნდის უფროსად კი 60-იანი წლების ცნობილი მეკარე სერგო კოტრიკაძე იმუშავებს. მოვიწვიეთ „მრეტების“ ყოფილი თავკაცი ლუცენკოც, რომელიც ფიზიკური მომზადების ცნობილი სპეციალისტია. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. „ლოკომოტივი“ ნამდვილ პროფესიონალურ გუნდად უნდა ჩამოვაყალიბოთ. პელეს უთქვამს, ფეხბურთი ჩემი პროფესიაა და ყოველდღიურად 8 საათს ვმუშაობდი მოედანზეო. თუ ჩვენი გუნდის წევრებიც გაითავისებენ წარმატების მიღწევის ამ გზას, გამარჯვებებიც არ დააყოვნებს. ტალანტები კი არავისზე ნაკლები არ გვყავს. მთავარია, ნიჭთან ერთად დიდი შრომაც შეგვძლოს. ჩემი სურვილია, ეროვნულ ნაკრებს გავუზარდოთ ფეხბურთელები. მიხარია, რომ საქართველოს 22 საუკეთესო მოთამაშეში ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენი წევრი ბუხრიკიძე დაასახელა. მის გარდა, კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი გვეზრდება და იმედია, ისინი არა მარტო გუნდს, არამედ უახლოეს მომავალში — ნაკრებებსაც წაადგებიან. მოთამაშეს მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თითოეული ვარჯიშის წინ იგი თავის მომავალზე უნდა ფიქრობდეს, სხვაგვარად ფეხბურთისთვის დაიკარგება.

**— „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის ნატვრა და მიზანი რა არის?**

— ფულის საკეთებლად არ მოვსულვარ, ჩემი მიზანი ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა. არ მსურს, „ლოკომოტივი“ მაჩანჩალა იყოს, იგი დიდი მიზნებისკენ უნდა ისწრაფვოდეს.

მართალია, გუნდის პრეზიდენტს დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირველი წელი, ვგონებ, მთლად ურიგო არ იყო ჩემთვის — „ლოკომოტივი“ I ჯგუფში გადავიყვანე. იმედია, ეს წინსვლა კვლავ გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ტალინში პეტერბურგის გავლით

თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის და ეროვნული ჩემპიონატისათვის წელსაც, როგორც შარშან, ტალინში მოემზადება. დინამოელები დღეს დილით სანკტ-პეტერბურგს მიფრინავენ, იქიდან კი ავტობუსით ტალინში გადაფრენ. გიორგი დემეტრაძე პოლიპების ოპერაციის შემდეგ ესტონეთში [illegible] გაემგზავრება. თუ ყველაფერი სასურველად წარიმართა, არ არის გამორიცხული, დემე მოგვიანებით შეუერთდეს დინამოელებს. გუნდთან ერთად არც ირაკლი ზოიძე იქნება. იგი ზაზა რევიშვილთან ერთად ავსტრიაშია რომელიღაც იქაურ კლუბში გასასინჯად. მათი ამბავი უახლოეს ორ-სამ დღეში უნდა გაირკვეს. ჩვენი ინფორმაციით, ქართველებით ავსტრიის ჩემპიონი „ზალცბურგია“ დაინტერესებული.

„დინამო“ ტალინში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს „ფლორასთან“ და „ლანტანასთან“. შესაძლოა, დინამოელები ფინეთსაც ესტუმრნონ და რომელიმე იქაურ გუნდთანაც ითამაშონ. მოკლედ, დემეტრაძისა და ზოიძის გარეშე მიმავალი „დინამო“ ტალინში სერიოზულად აპირებს მომზადებას და თბილისში ორი კვირის შემდეგ, 17 ივლისს დაბრუნდება.

ტალინში გაემგზავრებიან: დავით ჯანელიძე, გელა ჭანტურია, გივი დიდავა, ზვიად ჯელაძე, მამუკა მაჭავარიანი, კახა კალაძე, როინ კერძევაძე, გიორგი კიკნაძე, გიორგი დავითნიძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი ანჩაბაძე, ირაკლი გემეზაშვილი, გივი კვარაცხელია, კახა გოგიჩაიშვილი, დავით მუჯირი, რატი ალექსიძე, გიორგი შაშიაშვილი, ლევან ხომერიკი, დავით ყიზილაშვილი და გერმანიის „ლიუბეკიდან“ დაბრუნებული ალექსანდრე იაშვილი.

# ბევრი იარეს თუ ცოტა...

თვალებჩაწითლებული და ფეხებდასიებული „მერანის“ ორი-სამი მოთამაშე და გუნდში დასაქმებული ამდენივე ადამიანი გუშინ საღამოს ძლივს მოლასლასდა „სინათლის“ სტადიონზე. ისეთ ხასიათზე იყვნენ, რა დღეც დასდგომოდათ — საბერძნეთის ქალაქ სალონიკის „ირაკლისთან“ წაგებას უაღრესად მომქანცველი მგზავრობა და დამთრგუნველი, ფეხბურთისკენ რომ არ გაახედებს კაცს, ისეთი განწყობაც დართვოდა. მთავარი მწვრთნელი და მოთამაშეთა ნაწილიც არ ჩანდნენ. მოსულნი მსუბუქად სავარჯიშოდ შეკრებილიყვნენ, ვარჯიშამდე კი შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს და სტადიონზე მოსულ მცირერიცხოვან ახლობლებსა თუ თბილისში დარჩენილ მერანელებს. თუმცა ამას შთაბეჭდილება არ ეთქმოდა...

ჯერ კიდევ თამაშამდე ვწერდით — ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რა შედეგს გამოიღებს ავტობუსით მგზავრობაო. მაგრამ ავტობუსს და მგზავრობასაც გააჩნია თურმე. გზაში მძღოლს კონდიციონერი ცოცხალი თავით არ ჩაურთავს და მგზავრები მოხარშულ ქათმებს დაემსგავსნენ. ავტობუსი მეტად ნელა მოძრაობდა. ბორჯომისა და შედედებული რძის „სინთეზურ მენიუს“ კი გულგრილი არ დაუტოვებია მგზავრთა უმრავლესობის კუჭები. სად იყო შეპირებული კომფორტი, სიგრილე და თვალის მოტყუების საშუალება? ასეთი საშინელება ცხოვრებაში არ მინახავსო, მითხრა ერთ-ერთმა მერანელმა, რომელმაც, სხვებივით, გვარის გამხელა არ ისურვა — ჩვენი პრეზიდენტი წაგებით ისედაც აღშფოთებულია და არ მინდა, უარესად გავალიზიანოო, თუმცა კი, თავადაც რომ არ იყვნენ უკეთეს გუნებაზე, ეს უკვე გითხარით. ბორჯომი და შედედებული რძე რომ შემოაკლდათ, მერე, თურმე, ცოტა ადამიანურად დაპურებულან, მაგრამ ეს რაღას უშველიდათ.

ხუთშაბათ შუადღეს გასულ თბილისელებს სალონიკამდე შაბათ საღამოს, 8 საათისთვის ჩაუღწევიათ, სასტუმროში დაბინავებულან და უმალვე სტადიონისკენ გაშურებულან მოსათელად, მაგრამ ქანცგაწყვეტილთათვის ეს ყველაფერი ვალის მოხდას უფრო ჰგავდა. ყოველივემ, ბუნებრივია, თამაშისასაც იჩინა თავი და რომელ წარმატებაზე შეიძლებოდა ფიქრი. „ტორპედოსთან“ შეხვედრისას რა დღე დაადგათ მერანელებს, ყველამ ვნახეთ და დაღლილ-დაქანცულებს რა უნდა ექნათ საბერძნეთში. არადა, ყველა ერთხმად, პირშეკრულივით ამტკიცებდა, „ირაკლისი“ ის გუნდი არ იყო, ვისი დამარცხებაც, თუნდაც სტუმრად, არ შეიძლებოდაო. თუმცა, თავიდან მივყვეთ.

„მერანმა“ შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დოლიძე, ხუჯაძე, სიდამონიძე, გოგობერიშვილი (ივანიშვილი 74), კაკუბავა, ქველაძე, კვარაცხელია, გოგიტაძე, გოდერძიშვილი, ტრაპაიძე (მელქაძე 40), გაბისონია (მაზიაშვილი 70).

მოთამაშეებისგან ერთი უცნაური ამბავიც შევიტყვე — ქომაგობით ცნობილ ბერძენ გულშემატკივრებს მატჩისადმი არანაირი ინტერესი არ გამოუჩენიათ და ტრიბუნაზე ასიოდე კაცი თუ შეკრებილა. ბერძნები კი უამათოდ ბევრი ვერაფერი ხვითოები ყოფილან. შემწედ ისევ ჩვენებურთა დაღლით გამოწვეული უილაჯობა მოვლენიათ. მგზავრობით ფეხები ისე დაგვისივდა, ბუცები ძლივს მოვირგეთო, ჩიოდნენ მერანელები.

არადა, პირველი ტაიმი ჩვენებურებს კინალამ მოუგიათ. მე-40 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი გოგიტაძემ თავით ბერძენთა კარის ცხრიანში გაგზავნა, მაგრამ „ირაკლისის“ მცველს ძალიან უყოჩაღია და თავისიანები გოლისგან უხსნია. მეორე ტაიმში კი ლოგიკამ თამაში მასპინძელთა სასარგებლოდ შეაბრუნა. აუტანელ სიცხეს ისედაც უარაქათო მერანელები მთლად შავ დღეში ჩაუგდია. ერთ-ერთმა ისინი კი მითხრა, სურვილი გამიჩნდა, მოედანი მიმეტოვებინა, ჩვენს იქ ჩასვლას რა აზრი ჰქონდა, ვერ მივხვდიო.

„ირაკლისმა“ ანგარიში 52-ე წუთზე კურიოზულ ვითარებაში გახსნა: გოგიტაძე ბურთის მოგერიებას ცდილობდა, მას ბერძენი ფეხებში ჩაუხტა და... მეორე გოლი კი „ირაკლისის“ შავკანიანი მოთამაშის ინდივიდუალურ გარღვევას მოჰყოლია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მერანელები დამარცხდნენ ბერძენთა მეთხუთმეტე გუნდთან. ეს, ეჭვგარეშეა, ქართული ფეხბურთის სირცხვილია. ამას ისედაც გაღიზიანებული მერანელების უფრო მეტად გასაღიზიანებლად არ ვამბობ. დროა, ამაზე ჩვენი ფედერაციის მამებიც დაფიქრდნენ, თორემ, ისეთი პირი უჩანს, იმდენად იშვიათად მოგვიწევს გამარჯვების გახარება, რომ მალე 26 მაისის დარად „ლინფილდთან“, ანაც უკეთესი, ბულგარეთთან გამარჯვების დღის ოფიციალურად აღსანიშნავთა რიცხვში შეტანა მოგვიწევს. ჩვენც დავითის და თამარის საქართველოსავით გავიხსენებთ დიუსელდორფს და თვალებზე ცრემლი მოგვადგება. ბევრი ნამდვილად აღარ გვიკლია აქამდე.

ერთიც არის: ცნობილი ძველი ოლიმპიური დევიზი, მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვებაო, დღევანდელ სუპერპროფესიულ სპორტში ირონიულადღა თუ ჟღერს. ვის სჭირდება იმის შეხსენება, რომ დღეს მთავარი მოგებაა, რასაც სიხარული და ფული მოაქვს, ნიადაგ წაგებული კი სირცხვილის მეტს არაფერს იმკის.

**მერაბ მამულაშვილი**


## იყიდება

3-ოთახიანი კერძო ბინა (ბელუტაუზე), სამზარეულოთი, გარაჟით, ორი სარდაფით, სააბაზანოთი, სამი პატარა ოთახით ეზოში, ამასთან, 600 კვ მეტრი ნაკვეთი სოფელ იგოეთში. საწყისი ფასი 22 000 დოლარი.

მისამართი: ნაძალადევის რაიონი, ილურიძის ქუჩა № 8 (№ 16 საშარშრუტო ტაქსი გადასასვლელი ხიდიდან).

## იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა**

3 და 4 მილიმეტრიანი.

ზომები: 90x120სმ და 120x180სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56

38-60-88 (საღამოს საათებში)

# საქართველოს IX ჩემპიონატის I წრის კალენდარი

გურია (ლანჩხუთი)
დილა (გორი)
დინამო (ბათუმი)
დინამო (თბილისი)
თსუ (თბილისი)
კოლხეთი 1913 (ფოთი)
ლოკომოტივი (თბილისი)
მარგვეთი (ზესტაფონი)
მაღაროელი (ჭიათურა)
მერანი 91 (თბილისი)
მეტალურგი (რუსთავი)
მორკინალი (თბილისი)
ოდიში (ზუგდიდი)
სამგურალი (წყალტუბო)
სიონი (ბოლნისი)
ტორპედო (ქუთაისი)

**I ტური**

7 აგვისტო, ხუთშაბათი
კოლხეთი — თსუ
მერანი — გურია
8 აგვისტო, პარასკევი
დინამო — მეტალურგი
დილა — სამგურალი
მარგვეთი — მორკინალი
ტორპედო — ლოკომოტივი
ოდიში — მაღაროელი
ბათუმი — სიონი

**II ტური**

16 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — ოდიში
17 აგვისტო, კვირა
სამგურალი — მარგვეთი
მორკინალი — მერანი
18 აგვისტო, ორშაბათი
მეტალურგი — თსუ
მაღაროელი — ბათუმი
გურია — ტორპედო
სიონი — კოლხეთი
დინამო — დილა

**III ტური**

21 აგვისტო, ხუთშაბათი
მერანი — სამგურალი
22 აგვისტო, პარასკევი
კოლხეთი — მაღაროელი
დილა — მეტალურგი
მარგვეთი — დინამო
ტორპედო — მორკინალი
ოდიში — გურია
ბათუმი — ლოკომოტივი
თსუ — სიონი

**IV ტური**

29 აგვისტო, პარასკევი
მორკინალი — ოდიში
30 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — კოლხეთი
მაღაროელი — თსუ
31 აგვისტო, კვირა
მეტალურგი — სიონი
სამგურალი — ტორპედო
დინამო — მერანი
დილა — მარგვეთი
1 სექტემბერი, ორშაბათი
გურია — ბათუმი

**V ტური**

3 სექტემბერი, ოთხშაბათი
თსუ — ლოკომოტივი
4 სექტემბერი, ხუთშაბათი
მარგვეთი — მეტალურგი
მერანი — დილა
ტორპედო — დინამო
ოდიში — სამგურალი
ბათუმი — მორკინალი
კოლხეთი — გურია
სიონი — მაღაროელი

**VI ტური**

13 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — სიონი
14 სექტემბერი, კვირა
სამგურალი — ბათუმი
მორკინალი — კოლხეთი
15 სექტემბერი, ორშაბათი
მეტალურგი — მაღაროელი
გურია — თსუ
დინამო — ოდიში
დილა — ტორპედო
მარგვეთი — მერანი

**VII ტური**

28 სექტემბერი, კვირა
თსუ — მორკინალი
29 სექტემბერი, ორშაბათი
სიონი — გურია
მერანი — მეტალურგი
ტორპედო — მარგვეთი
ოდიში — დილა
ბათუმი — დინამო
კოლხეთი — სამგურალი
მაღაროელი — ლოკომოტივი

**VIII ტური**

3 ოქტომბერი, პარასკევი
მორკინალი — სიონი
4 ოქტომბერი, შაბათი
მერანი — ტორპედო
5 ოქტომბერი, კვირა
მეტალურგი — ლოკომოტივი
გურია — მაღაროელი
სამგურალი — თსუ
დინამო — კოლხეთი
დილა — ბათუმი
მარგვეთი — ოდიში

**IX ტური**

14 ოქტომბერი, სამშაბათი
მაღაროელი — მორკინალი
ლოკომოტივი — გურია
15 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ტორპედო — მეტალურგი
ოდიში — მერანი
ბათუმი — მარგვეთი
კოლხეთი — დილა
თსუ — დინამო
სიონი — სამგურალი

**X ტური**

18 ოქტომბერი, შაბათი
მორკინალი — ლოკომოტივი
19 ოქტომბერი, კვირა
მერანი — ბათუმი
20 ოქტომბერი, ორშაბათი
მეტალურგი — გურია
სამგურალი — მაღაროელი
დინამო — სიონი
დილა — თსუ
მარგვეთი — კოლხეთი
ტორპედო — ოდიში

**XI ტური**

26 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი — სამგურალი
27 ოქტომბერი, ორშაბათი
ოდიში — მეტალურგი
ბათუმი — ტორპედო
კოლხეთი — მერანი
თსუ — მარგვეთი
სიონი — დილა
მაღაროელი — დინამო
გურია — მორკინალი

**XII ტური**

31 ოქტომბერი, პარასკევი
მეტალურგი — მორკინალი
სამგურალი — გურია
დინამო — ლოკომოტივი
დილა — მაღაროელი
მარგვეთი — სიონი
ტორპედო — კოლხეთი
ოდიში — ბათუმი
1 ნოემბერი, შაბათი
მერანი — თსუ

**XIII ტური**

9 ნოემბერი, კვირა
თსუ — ტორპედო
10 ნოემბერი, ორშაბათი
მორკინალი — სამგურალი
11 ნოემბერი, სამშაბათი
ბათუმი — მეტალურგი
კოლხეთი — ოდიში
სიონი — მერანი
მაღაროელი — მარგვეთი
ლოკომოტივი — დილა
გურია — დინამო

**XIV ტური**

15 ნოემბერი, შაბათი
მერანი — მაღაროელი
მარგვეთი — ლოკომოტივი
16 ნოემბერი, კვირა
მეტალურგი — სამგურალი
დინამო — მორკინალი
დილა — გურია
ტორპედო — სიონი
ოდიში — თსუ
ბათუმი — კოლხეთი

**XV ტური**

19 ნოემბერი, ოთხშაბათი
ლოკომოტივი — მერანი
20 ნოემბერი, ხუთშაბათი
თსუ — ბათუმი
21 ნოემბერი, პარასკევი
კოლხეთი — მეტალურგი
სიონი — ოდიში
მაღაროელი — ტორპედო
გურია — მარგვეთი
მორკინალი — დილა
სამგურალი — დინამო

# თეთრი ტრუსი, შავი ტრუსი ერთ-ორ თვეში გამოჩნდება

გაზაფხულზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანს ქართული ფეხბურთის პრობლემებზე შევესიტყვე. მაშინ იყო, დავით კვინიკაძემ რომ შემახსენა, ჩვენ სპეციალური კომისია შევქმენით, სადაც ჟურნალისტებიც მივიწვიეთ და შენიშვნათა გამოთქმა ამ კომისიის სხდომებზე შეგიძლიათო. ბუნებრივია, როგორც ჟურნალისტს, არანაირ კომისიაში ყოფნის სურვილი აღარ მაქვს, რადგან, მადლობა ღმერთს, კარგა ხანია იმ დიდი კომისიის წევრი ვარ, რასაც ქართული სპორტული პრესა ჰქვია. ხელში კალამიც იმად მიჭირავს და გაზეთშიც იმიტომ ვმუშაობ, რომ შენიშვნები წერილობით გამოვთქვა და არა ათასი ჯურის კომისიებზე სირბილში გავცდე. ამოდენა ადგილის უმარტივესი ჭეშმარიტებით აჭრელება იმიტომ მომიხდა, რომ შარშანდელი დებულების მიმოსახილი წერილი, როგორც თავად თქვა, დავით კვინიკაძეს საგანგებოდ ამოუჭრია, სამუშაო მაგიდაზე დაუდევს და საწუხარი რომ მოეძალება, ამის კითხვით იხალისებს თავს. ვერ გეტყვით, გენსეკმა მასში სახალისო რა ნახა. დიდად არც მე მეხალისება წელსაც თითქმის იგივეს გამეორება, მაგრამ იძულებული ვარ, რადგან ფედერაცია დებულების ხარვეზებს ქართული ფეხბურთის დამარცხებებივით ამრავლებს.

შარშანდელი დებულების მიმოსახილ წერილში ყურადღება პირველ რიგში უცხოელ ფეხბურთელებზე იყო გამახვილებული. მაშინ შეზღუდვას ვჩიოდით, რადგან დებულების თანახმად კლუბებს მხოლოდ ერთი ლეგიონერის მოწვევის უფლება ჰქონდათ. ახალ დებულებაში ფედერაციამ ეს შენიშვნა კი გაითვალისწინა, მაგრამ პრობლემის გადაჭრის უიოლესი გზა ირჩია და საკითხი მაინც ღიად დატოვა. რამდენიც უნდა ეძიოს, ვერაკაცი ვერ იპოვის პუნქტს, სადაც წერია, რომ გუნდს 1, 2, 3 ან ნებისმიერი რაოდენობის უცხოელის მოწვევის უფლება აქვს. გამოდის, ამ მხრივ არათუ შეზღუდვა არ არსებობს, არამედ ისიც გაურკვეველია, აქვთ თუ არა ქართულ კლუბებს უცხოელთა თამაშის უფლება.

შარშან I და II ჯგუფებს შორის გუნდების დინების ზრდა მოვიწონეთ, წელს ფედერაციამ გავარდნისა და I ჯგუფში გადასვლის კანდიდატთა ოდენობა 4-4-მდე გაზარდა, ოღონდ ერთი უხერხულობით: ბოლო ორი პირველჯგუფელი ავტომატურად ვარდება და პირველი ორი მეორეჯგუფელი ავტომატურადვე I ჯგუფში გადადის, ხოლო ბოლო და საუკეთესო მესამე-მეოთხენი ჯერ თანაჯგუფელებთან არკვევენ ურთიერთობას, მერე კი პირველში წაგებული მეორეში მოგებულთან. რა გამოდის? ის, რომ პირველჯგუფელ ბოლოდან მესამე-მეოთხეთ დასარჩენად ორი შანსი ეძლევათ, მეორეჯგუფელებს კი ერთადერთი. გაუგებარია ისიც, რატომ მონაწილეობენ ამ ბრძოლაში მეოთხენი. ალბათ იმიტომ, რომ პირველ ჯგუფში ბოლო ადგილებზე გასულთ მეტი საფრთხე შეექმნათ, მეორეში კი მეტი სტიმული მიეცეთ. მაშინ ისიც თქვათ, რატომ უნდა ჩაეყაროს წყალში მთელი სეზონის ნაჯაფარი ერთ-ერთ მეორეჯგუფელს — მეოთხეს არადა, ვთქვათ, მესამეს? საბოლოოდ, თუ მაინც სამი გუნდი ვარდება და ამდენივე გადმოდის, ხელოვნური გართულების შექმნა საჭიროა?

ზემოხსენებულ პუნქტს ეხმიანება ჩემპიონატში ადგილების გარკვევის სისტემაც. შარშან ამ სისტემის უკულმართობაზეც ვჩიოდით და გასაკვირი იქნებოდა, ფედერაციას ეს შენიშვნა ყურად ეღო. ჩვენში კარგა ხნის დაკანონებულია, რომ წინ გასულს მოგებათა მეტი რაოდენობა არკვევს და არა ბურთების სხვაობა, ისე, როგორც წამყვან ევროპულ ქვეყნებშია. ნათქვამს აღარ გავიმეორებთ და ყურადღებას იმ შესწორებას მივაქცევთ, რომელიც ფედერაციამ წლევანდელ დებულებაში შეიტანა. მაშ ასე: „როგორც პირველი ასევე მომდევნო ადგილების გასარკვევად, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭება მოგებათა მეტ რაოდენობას, შემდეგ მხედველობაში მიიღება უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, მერე კი ბურთების უკეთესი სხვაობა, ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრაში მოწინააღმდეგის მოედანზე მეტი გოლი აქვს გატანილი), შემდეგ კი უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება, შემდეგ გატანილი გოლების რაოდენობას. შემდეგ მოწინააღმდეგეთა მოედნებზე გატანილი გოლების რაოდენობას, შემდეგ ნაკრებ გუნდებში მივლინებულ ფეხბურთელთა რაოდენობას, ბოლოს კი „ფეირ-პლეის" შედეგებს, თუ გუნდებს ეს მაჩვენებლებიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, დაკავებული ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა."



აქ სიახლე ერთია, განმგმირავი მიგნება კი მეორე. სიახლეა ის, რომ თანაბარი ქულების, მოგებების, ურთიერთშორის მოგებების და ბურთების სხვაობის შემთხვევაში საუკეთესოს მეტოქის მოედანზე გატანილი გოლები გამოავლენს. საოცარია! თასის გათამაშებაა თუ რა? ეს ბოლო პუნქტი, თითქოსდა, სტუმარს გასატანად აგულიანებს, მაგრამ ამას განა დებულებაში განსაკუთრებული პუნქტი სჭირდება? ბოლოს და ბოლოს, მინიმალური სხვაობით წაგებას რომელი გუნდი ხარობს? წაგება ხომ წაგებაა. განმგმირავი კი ამ მუხლში ისაა, როგორც პირველ, ასევე მომდევნო ადგილებზე გასულ გუნდებს ტოლძალოვნების შემთხვევაში კენჭისყრა რომ გამოავლენთ. კაი დახლი დაგვიდგება, თუ იმას მოვესწარით, რომ „დინამოს" ვინმე გაუტოლდა ქულებში, მოგებებში, შინ და გარეთ გატანილ თუ გაშვებულ გოლებში, გინება-უხეშობაში, ნაკრებში მივლინებულ მოთამაშეთა რაოდენობაში და ჩემპიონის გამოსავლენად ერთადერთი გზა — კენჭისყრა დაგვრჩა. იმედია, ეს პრობლემა ფედერაციას ჯერ .არ შეაწუხებს, ქვემოურთა გასარკვევად კი გამორიცხული სულაც არ არის, წილისყრა დასჭირდეთ. შევეშვათ წილისყრას, ვთქვათ და, მე-13-ზე გასულმა მე-14-ს ერთი ქულით ან როგორღაც აჯობა, რატომღა უნდა არკვიონ ერთურთში ურთიერთობა ერთ კონკრეტულ მატჩში, როცა შესაძლოა მაშინ რომელიმეს ტრავმის ან გაფრთხილების გამო ფეხბურთელი აკლდეს?

პრობლემა პრობლემაზეა და, სამაგიეროდ, ფედერაციამ საქმე აიწყო მსაჯების ანაზღაურების საკითხში. გუნდებს ხომ შარშანვე მიაბარა თემიდის მსახურთა გასტუმრება და წელს მსაჯთათვის გადასახდელი თანხა წლიურად 1300 ლარით გაზარდა. ეს, თავის მხრივ, ბევრი არაფერია იმასთან, რაზეც წინა სეზონის ბოლოს იყო საუბარი. კლუბებისთვის წლიური საწესდებო კაპიტალის 250 ათასი დოლარის დაწესება ფედერაციამ წელს ვერ გაბედა, ამდენის მომგროვებელი ყველა როდიაო. ესე იგი, თავიდანვე ცნობილია, რომ ჩემპიონატი ორად გაიყოფა და ზემო-ქვემო გუნდებს შორის ცხრილში დიდი უფსკრული გაჩნდება.

ფედერაციამ ხელუხლებლად დატოვა საჯარიმო ქულების სისტემაც. თუმცა გაუგებარია, რატომ. აქ ხუთ ქულაზე არაფერს ვამბობთ, სტადიონის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში დასაქვით 2 ქულას ვგულისხმობთ. მთელი წინა ჩემპიონატის განმავლობაში ფედერაციას ერთხელაც არ დაუსჯია რომელიმე გუნდის გულშემატკივრები. არადა, დარღვევები საკმაოდ იყო და მხოლოდ „კახეთს" ჩამოაკლეს 5 ქულა მსაჯის შეურაცხყოფისთვის, „სიონს" კი მოგებულ მატჩში წაგება ჩაუთვალეს.

რაც მთავარია, მსაჯებს მანიპულირებისათვის ფართო ასპარეზი შერჩათ. იმისათვის, რომ მათ დანიშნული შეხვედრა დროზე გამართონ, საკმარისია გუნდებმა 11-11 ფეხბურთელი და მსაჯებისთვის გადასახდელი 420 ლარი შეკრიბონ. არადა, დებულება ბევრ ისეთ ხელისშემშლელ პირობას ითვალისწინებს, რამაც შეიძლება მატჩის გამართვა შეაფერხოს. უბრალო მაგალითი ავიღოთ. 5.7. პუნქტის თანახმად „ფეხბურთელი ვალდებულია თამაშობდეს წვივსაფრით, წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯი უფლებამოსილია მოთამაშე არ დაუშვას კალენდარულ მატჩზე". იგივე ითქმის „პანტალონზეც", რომელიც „სასურველია" ტრუსის ფერი იყოს. გამოდის, თავად მსაჯი უშლის ხელს ფეხბურთელს წეს-კანონის დაცვაში, რადგან ერთისთვის მიცემული შეღავათი, საყოველთაოდ ცნობილია, არასასურველ პრეცენდენტს ქმნის. ფეხბურთელი მოვალეობას თუ არ მოიხდის, მსაჯს მაინც შეუძლია მას აპატიოს, ამ უბრალო დეტალს კი, საბოლოოდ იმ ანარქიამდე მივყავართ, რასაც ჩემპიონატს ძნელად თუ დაარქმევ კაცი. თორემ პანტალონის ფერს ისეთი რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, დებულებაში ეწეროს.

საერთოდაც, დებულებაში ბევრი რამ ისეთი წერია, რისი ასრულებაც ფედერაციასაც კარგად მოეხსენება, ნაკლებშესაძლებელია და არაშეუძლებელი. აბა რა უნდა იფიქრო კაცმა, როცა დებულებაში წერია, ფეხბურთელს მაისურზე თავისი კლუბის ემბლემა უნდა ეკეთოსო, ამ დროს კი „გურიას" „ტოტენჰემის", „ივერიას" „ლივერპულის", „მერანს" კი „შეფილდ უენსდეის" ემბლემებით დამშვენებული ფორმები აცვიათ. ხოლო საკუთარემბლემიანი ფორმა მხოლოდ ხუთ გუნდს — „დინამოს", „ბათუმს", „ოდიშს", „მარგვეთს" და „სამტრედიას" გააჩნია.

ან დოპინგ კონტროლის ჩამტარებელი ვინაა, საკვირველია. თუ არადა, აღდგომა და ხვალეო.

ფედერაციას ერთი ლაფსუსიც მსაჯების დანიშვნის წესში გაპარვია — დებულების 7.4. პუნქტში წერია: „ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციები და საფეხბურთო კლუბები ვალდებულნი არიან კალენდარულ თამაშებზე ბრძანებით დანიშნონ სათადარიგო ადგილობრივი კვალიფიციური მსაჯები, რომელთაც ევალებათ მატჩის ჩატარება სფფ-ის მიერ დანიშნულ მსაჯების გამოუცხადებლობის შემთხვევაში. სათადარიგო მსაჯებზე ადგილობრივი ფედერაციების ან საფეხბურთო კლუბის მიერ გამოცემული ბრძანების ასლი თამაშის დღეს უნდა ინახებოდეს სტადიონის მსაჯთა ოთახში." არადა, 7.2. პუნქტი გვაუწყებს, რომ „გუნდს უფლება არა აქვს მოითხოვოს თამაშზე სფფ-ს მიერ ბრძანებით დანიშნული მსაჯების შეცვლა." ვთქვათ და, სტუმარმა ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის და საფეხბურთო კლუბის მიერ დანიშნულ მსაჯს ბოიკოტი გამოუცხადა. მაშინ რაღა იქნება? ეტყვიან, ადგილობრივი ფედერაციაც ჩვენი შემადგენელი ნაწილიაო.

მოკლედ, იმის თქმა შეიძლება, რომ წლევანდელი დებულებაც ვარიირების არაერთ საშუალებას იძლევა და მეტწილად ფედერაციის სასარგებლოდ, რომლის ობიექტურობაშიც, მეტი რომ არა, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კაცს შეეპარება ეჭვი. თუნდაც იმიტომ, რომ მსაჯი თუ ფედერაცია, წესით, კანონის დამცველია, კანონის დამცველი კი გულზე 1 პროცენტს თუ ეხატება. ესაც იმიტომ, რომ ის ერთი პროცენტი თავად კანონის დამცველი ან მისი ახლობელია.

**ვახტანგ ბზიკაძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტო**

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ მარკო სიმონე „მილანიდან“ „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა. 28 წლის თავდამსხმელმა განაცხადა, რომ ბედნიერია საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გუნდთან დადებული კონტრაქტით. ფრანგულმა კლუბმა დაადასტურა ცნობის ჭეშმარიტება, თუმცა ფინანსურ საკითხებზე არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, იტალიელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ სიმონეს პარიზული ხელშეკრულება ოთხწლიანია და მის თანახმად ფეხბურთელი წელიწადში 1,47 მილიონ დოლარს მიიღებს. სიმონეს „მილანიდან“ წასვლის მიზეზი მარტივია: კლუბმა „აიაქსისგან“ პატრიკ კლუივერტი იყიდა და ამდენი თავდამსხმელი აღარ სჭირდება. „საფრანგეთში მსოფლიოს პირველობის წინა სეზონში გადავდივარ. ამან, შესაძლოა, იტალიის ნაკრებში მოხვედრაშიც შემიწყოს ხელი“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელსაც „სკუადრა აძურაში“ ოთხი შეხვედრა აქვს ჩატარებული, „მილანში“ კი ზედიზედ რვა სეზონში 73 გოლი გაიტანა.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ნაკრების ყოფილმა წევრმა კრის უოდლმა განაცხადა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელად. საინტერესოა, რომ 36 წლის ფეხბურთელისთვის მწვრთნელობა სხვა გუნდებს ადრეც შეუთავაზებიათ, კერძოდ, „შეფილდ უენსდეის“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“, მაგრამ უოდლმა შორს დაიჭირა. მან თქვა, ნებისმიერ ადგილზე სულაც არ ვაპირებდი მუშაობის დაწყებას, ყოველთვის ზუსტი და სწორი მომენტის შერჩევას ვცდილობდი. „ვგრძნობ, რომ ჯერ თამაშიც შემიძლია და გონებაში ჩემეული გუნდიც ჩამომიყალიბდა“ — განუცხადა ვეტერანმა ჟურნალისტებს. „შეფილდ იუნაიტედი“ უოდლმა იმიტომ ამოირჩია, რომ ამ კლუბს ჰოვარდ კენდალის „ევერტონში“ გადასვლის შემდეგ მწვრთნელი აღარ ჰყავს. მიუხედავად ცნობილი ვეტერანის გამოხმაურებისა, „იუნაიტედი“ დაუფიქრებელი კონტრაქტის დადებას სულაც არ ჩქარობს. იმავე თანამდებობაზე პრეტენზია კენდალის შემცვლელს ნაიჯელ სპაკნერსაც აქვს. კლუბის აღმასრულებელმა შეფმა ჩარლზ გრინმა განაცხადა: „ჩვენ კრისს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ კარგი იქნება, თუ მოვა და უფრო კონკრეტულად აგვიხსნის, რა უნდა“. შეგახსენებთ, რომ უოდლმა ბოლო ხანს გუნდიდან გუნდში ბევრი იმოგზაურა: იყო შოტლანდიურ „ფალკირკში“, საიდანაც ორიოდ თამაშის მერე „ბრედფორდ სიტის“ მიაშურა, შემდეგ ეს გუნდიც მიატოვა და საბოლოოდ თავი „სანდერლენდში“ ამოჰყო.**

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ოთხი ნეპალელი ფეხბურთელი დაიკარგა. მოგეხსენებათ, ამასწინათ, ნეპალის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის თამაშები ჰქონდა ტოკიოში. შაბათს, მაკაოსთან საბოლოო მატჩის შემდეგ გუნდი შინ უნდა გამგზავრებულიყო. კვირას გაემგზავრა კიდეც, მაგრამ რაჯეშ თაპას, საუგეშ შრესთას, ნარენდრა შრესთას და ბაბინ ბისტას გარეშე. ნეპალელებმა დაუყოვნებლივ მიმართეს იაპონიის პოლიციას, საქმეში ნეპალის წარმომადგენლობაც ჩაერთო, რომელმაც დაკარგულთა ამბავი ამ ქვეყანაში მცხოვრებ თანამემამულეებში უნდა გაიკითხოს. საერთოდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ნეპალის მოქალაქეები იაპონიაში ჩუმად რჩებიან და იქ არალეგალურად ეწყობიან სამსახურში, მაგრამ ვინაიდან ნეპალში ფეხბურთელები სოციალურად დაბალ ფენას ნამდვილად არ წარმოადგენენ, ოთხეულის გაუჩინარება გაკვირვებას იწვევს. როგორც ამბობენ, გამორიცხულია, რომ ამ 18-26 წლის ახალგაზრდებმა ამომავალი მზის ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვონ. მიუხედავად ამისა, მოაგონდათ, რომ 1994 წელს, აზიური თამაშების შემდეგ, ორი ფეხბურთელი, ერთი კარატისტი და ერთიც ძიუდოისტი ასევე არ გაყვნენ ნეპალის გუნდს სამშობლოში. დაკარგულ ოთხეულს იაპონიაში ყოფნის უფლება 90 დღით ჰქონდათ მიცემული. ნეპალის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშეს თქმით, მათ უნდა ეყოთ გონიერება და დროულად დატოვონ უცხო ქვეყანა.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ „ინტერმა“ დაადასტურა, რომ მონტევიდეოს „ნასიონალიდან“ გადაიბირა ურუგვაელი მოთამაშე ალვარო რეკობა. მასში მილანელებს 4,1 მილიონი დოლარი გადაუხდიათ. რეკობამ, რომელმაც ხელი ოთხწლიან კონტრაქტს**

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲡᲗᲐᲜ



**მოაწერა, განაცხადა — მწამდა, ერთ მშვენიერ დღეს სერია A-ს რომელიმე კლუბში ამოვყოფდი თავსო. „ინტერი“ ჩემი ოცნების გუნდი იყო — თქვა ფეხბურთელმა — ათი წლის რომ ვიყავი, არ ვიცი რატომ, მაგრამ მამამ „ინტერის“ ემბლემიანი გასაღების საკიდი მაჩუქა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პრემიერლიგაში ახლა აღზევებულმა „ბარნსლიმ“ ამ ზაფხულს უკვე მესამე ფეხბურთელი იყიდა. იგია სამხრეთაფრიკელი ერიკ თინკლერი, რომელიც აქამდე იტალიის „კალიარიში“ გამოდიოდა. 26 წლის ნახევარმცველი, რომელსაც ეროვნულ გუნდში, ინგლისის ნაკრებთან ამასწინათ მანჩესტერში გამართული ამხანაგური მატჩის ჩათვლით, 25 შეხვედრა აქვს ნათამაშევი, „ბარნსლის“ 650 ათასი გირვანქა ანუ 1,1 მილიონი დოლარი დაუჯდა. „მიხარია, რომ ამბიციურ გუნდში გადავედი. ყოველთვის ვოცნებობდი ინგლისის პრემიერლიგაში თამაშზე“ — განაცხადა თინკლერმა. რაც შეეხება კლუბის წინა ორ შენაძენს, ისინია „ლევერკუზენის“ ყოფილი მეკარე 250 ათასად ნაყიდი ლარს ლისი და მაკედონელი თავდამსხმელი გეორგი ჰრისტოვი, 1,5 მილიონად შეძენილი.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ვარსკვლავმა ჯანფრანკო ძოლამ განაცხადა, რომ შესაძლოა მომავალი სეზონისა და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისი დატოვოს და მშობლიური სარდინიის კლუბ „კალიარის“ დაუბრუნდეს. „ახალი სტიმულის გარეშე ფეხბურთი არ არსებობს“ — უთხრა მოთამაშემ „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს — ამიტომაც გადავწყვიტე ერთ-ორ წელიწადში „კალიარიში“ გადასვლა. ცხადია ჯერ ყველაფერს ვარაუდით ვამბობ. მე ხომ არ ვიცი, იმ დროისთვის დაუბრუნდება თუ არა სარდინიის გუნდი სერია A-ს. ზოგადად კი ძალიან მომწონს დიდი გუნდიდან პატარაში გადასვლის და მშობლიური კუთხის დახმარების იდეა“. სხვათაშორის, ახლა შაბათს ძოლა 31 წლისა სრულდება.**

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ „გლაზგო რეინჯერსის“ უცხოელებმა ისედაც უმწვრთნელოდ დარჩენილ გუნდს ახალი თავსატეხი გაუჩინეს. სამშაბათს, პირველ ვარჯიშზე არ გამოცხადნენ იტალიელი პაოლო დი კანიო და პორტუგალიელი ჟორჟე კადეტე. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯეკ ბრაუნმა ყურადღება ძირითადად დი კანიოზე გაამახვილა. მან თქვა, რომ შოტლანდიაში იტალიიდან არჩასვლის მიზეზი შეიძლება უამრავი იყოს, მაგრამ ამას შეტყობინება და ახსნა სჭირდება. არაა გამორიცხული, დი კანიო დაავჯარიმონ. რაც შეეხება კადეტეს, მან „რეინჯერსის“ ოფისში ფაქსი აფრინა, ცუდად ვარო. მიიღეს მეორე ფაქსიც, რომელშიც პორტუგალიელის აგენტი იტყობინებოდა, რომ მის კლიენტს გუნდიდან წასვლა სურს.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ჩეხი ფეხბურთელი კარელ პობორსკი გუნდში სასამართლოს ძალით შეინარჩუნა. საქმე ისაა, რომ კარელმა გასულ სეზონში თამაშების 75 პროცენტი ვერ ჩაატარა, 54-დან მხოლოდ 22-ში მიიღო მონაწილეობა, რაც მას ინგლისში მუშაობის უფლებას ართმევდა. ფერგიუსონმა საბოლოოდ გაჩარხა საქმე და ჩეხი დაიტოვა, მაგრამ ახლა ამოცანის წინაშეა: იგი ან ხშირად უნდა ათამაშოს, ანაც გაყიდოს. ამ საქმით დიდად იყო დაინტერესებული „შეფილდ იუნაიტედიც“, რომლის მწვრთნელს დევიდ პლატს პობორსკის შეძენა კარგა ხანია სურს. ანალოგიურად შეინარჩუნა ჩეხივე პატრიკ ბერგერი „ლივერპულმა“.**

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲔᲚᲘ რიკარდუ სა პინტუ, რომელმაც მარტში თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელს არტურ ჟორჟეს ხელი გაარტყა, რისთვისაც ნაკრებიდან გააგდეს, ლისაბონის „სპორტინგიდან“ ესპანეთის „სოსიედადში“ გადასვლაზე თანახმაა. პრობლემა ისაა, რომ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ შესაძლოა 10 ივლისის სხდომაზე ფეხბურთელს 13 თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯოს, რაც ზემოხსენებულ ტრანსფერს ხელს შეუშლის. მიუხედავად ამისა, კლუბები იმედიანად არიან და 4 მილიონ დოლარიან გარიგებაზე ფიქრობენ. საინტერესოა, რომ პორტუგალიას სა პინტუს მიერ ნაცემი მწვრთნელიც სტოვებს. იგი ალბათ გლაზგოს „სელტიკში“ გადავა.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲛᲐ „ტენერიფემ“ კონტრაქტი გაუფორმა „სარაგოსას“ ყოფილ მწვრთნელს ვიქტორ ფერნანდესს, რომელიც მადრიდის „რეალში“ გადასულ იუპ ჰაინკესს შეცვლის. ფერნანდესის ბოლო წარმატება 1995 წელს იყო, როდესაც მისმა გუნდმა თასების თასის ფინალში „არსენალს“ მოუგო. ცვლილებაა ესპანეთის თასის ამასწინანდელ ფინალისტ „ბეტისშიც“. ლორენსო სერა ფერერის მაგივრად აქ ვეტერანი მწვრთნელი ლუის არაგონესი იმუშავებს. „ბეტისმავე“ იყიდა თავდამსხმელი ოლი, რომელშიც 7 მილიონი დოლარი გადაიხადა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პრემიერლიგის გუნდი „ვესტ ჰემი“ ალბათ შეიძენს ბუდაპეშტის „ვაშაშის“ გოლკიპერს, უნგრეთის ნაკრების წევრს შაბოლშ საფარს. ამ ფეხბურთელს, „ვაშაშის“ ტექნიკური დირექტორის განცხადებით, რამდენიმე წინადადება მიუღია, რომელთაგან ლონდონის კლუბი ამოურჩევია. მეკარე ახლა ინგლისის დედაქალაქში სამედიცინო შემოწმებაზე ჩავა. საფარს, რომელმაც ეროვნულ გუნდში ექვსჯერ ითამაშა, გასულ სეზონში „პორტუ“, „რომა“ და „კაზინო“ ეპატიჟებოდნენ.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ნაკრების ყოფილი კაპიტანი ხოსე მარი ბაკერო გასულ წელს „ბარსელონიდან“ მექსიკის „ვერა კრუზში“ გადავიდა. ახლა იგი 33 წლისაა და როგორც ჩანს, კვლავ ევროპულ ფეხბურთში დაბრუნებას ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის პრემიერლიგიდან ახლახან გავარდნილმა „მიდლსბრომ“ განაცხადა, რომ ესპანელი მათთან სამი კვირით ჩავა და თუ კარგ შთაბეჭდილებას დატოვებს, კონტრაქტს გაუფორმებენ. „მიდლსბროს“ ასისტენტი მწვრთნელის ვივ ანდერსონის თქმით, ის ბაკერო, ორი წლის წინ კატალონიელთა გუნდში რომ თამაშობდა, „მიდლსბროსთვის“ ძვირფასი შენაძენი იქნებოდა, მაგრამ ახლა, მთელი წლის უნახავ კაცზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.**

ᲨᲕᲔᲓᲘ ზანგი მარტინ დალინი შესაძლოა „ბლეკბერნში“ გადავიდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ინგლისურ გუნდს მილანის „ინტერის“ ყოფილი მწვრთნელი როი ჰოჯსონი ჩაუდგა სათავეში, რომელიც ადრე, 80-იანებში, შვედეთის „მალმიოში“ მუშაობდა სადაც ახალგაზრდა დალინს მასწავლებლად ედგა. დალინი ადრე ინგლისში თამაშის პრინციპულად წინააღმდეგი იყო, თუმცა ახლა, ჰოჯსონის გამო აზრი იცვალა. შეგახსენებთ, რომ იგი ჯერ-ჯერობით მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ წევრია.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ რობი ელიოტი „ნიუკასლიდან“ „ბოლტონში“ გადავიდა, რითაც მომავალ ჩემპიონთა თასზე თამაშის საშუალება მოისპო. 23 წლის ფეხბურთელი, რომელიც ადრე ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, 2,5 მილიონი გირვანქა (4 მილიონი დოლარი) დაჯდა. „ბოლტონის“ მწვრთნელის კოლინ ტოდის თქმით, კონტრაქტი ოთხწლიანია. ტოდმა მანამდე 1,5 მილიონ გირვანქად „მიდლსბროს“ მარჯვენა მცველი ნილ კოქსი შეიძინა.**

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲛᲐ „ტრაბზონსპორმა“ 3 წლით იყიდა კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი ჟან-ჟაკ მისე-მისე. აქამდე იგი ლისაბონის „სპორტინგში“ გამოდიოდა.

**ᲩᲘᲚᲔᲚ თავდამსხმელს სამორანოს ზურგის ტრავმა დაუმდა და იგი შაბათს კოლუმბიის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. „მე ის კაცი ვარ, მალე რომ გამოჯანმრთელდება ხოლმე — დაიტრაბახა ივანმა — ტკივილს არ ვგრძნობ, ის მხოლოდ მაშინ მახსენებს თავს, გვერდულად რომ ვიხრები.**

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ქალთა ჩემპიონატზე გერმანიამ და იტალიამ 1:1 ითამაშეს, დანიამ კი ნორვეგიასთან 0:5 წააგო.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ენდი კოული „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ არსად გადავა. კოულის გაყიდვაზე მას მერე ალაპარაკდნენ, რაც გუნდმა ტედი შერინგემი იყიდა და უამრავი თავდამსხმელი დაუგროვდა. „იუნაიტედმა“ შეიძინა კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი, ჭაბუკი ნორვეგიელი ერიკ ნევლანდი, რომელიც ადრე „ვიკინგში“ გამოდიოდა.**

# ᲑᲐᲠᲡᲐᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ბარსელონა“ ყურადღების ცენტრშია. არა, ამჯერად მის საფეხბურთო სპექტაკლებს კი არ გულისხმობთ, არამედ საკადრო საკითხებზე ვსაუბროთ, დიდ გუნდში ხომ ყველაფერი დიდი ხდება, ცვლილებებიც და სკანდალებიც. დავიწყოთ რონალდოთი, რომლის აგენტმაც კატალონიის კლუბის ხელმძღვანელებს 27,6 მილიონი დოლარი აახლა ფეხბურთელის გამოსასყიდად. წინააღმდეგნი თითქოს არც „ბარსას“ შეფები იყვნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, მოთამაშეს სატრანსფერო სერტიფიკატი იმ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა მისცეს, სადაც ის მოღვაწეობს, ესპანური ფეხბურთის გამგებლებმა კი თავი შეიკავეს. მიზეზი ისაა, რომ თურმე ფიფას წესის თანახმად ამა თუ იმ მოთამაშეს საკუთარი თავის გამოსყიდვა სხვა ქვეყანაში წასვლის მიზნით არ შეუძლია. გამოდის, რომ რონალდომ „ბარსელონასგან“ კი დაიხსნა თავი, მაგრამ თუ სადმე გადავა, მხოლოდ ესპანეთში. მაშ რა ჰქნას ბრაზილიელმა, თუკი მას იტალიის „ინტერში“ სურს გადასვლა? ლოგიკურად გამოსავალი ერთია: „ინტერი“ ჩვეულებრივი წესით უნდა დაელაპარაკოს „ბარსელონას“, ჩვეულებრივადვე გადაუხადოს სატრანსფერო თანხა და საქმე ასე მოაგვაროს. ახლა ვნახოთ რონალდოს და კატალონიელთა ახლანდელი კონტრაქტი. ის 2004 წლამდეა და უამრავი ათეულ მილიონ დოლარს მოიცავს. ასე, რომ ზემოხსენებული ჩვეულებრივი წესით მილანელებს ვარსკვლავიჭუნა ენითაუწერელი თანხა დაუჯდებათ. მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით „ინტერმა“ ფიფას მიმართა, თანაც დოკუმენტთა 40 გვერდიანი ასხმა აახლა. ფიფასვე სთხოვა პრობლემის გადაწყვეტა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ და ახლა ბოლო სიტყვა იქ, შვეიცარიაში ითქმება. საინტერესო კიდევ ისაა, რომ ფიფას ფეხბურთელთა სტატუსის განმსაზღვრავი კომისია მართალია შეკრებას აპირებდა, მაგრამ არსად ჩქარობდა, ახლა კი სასწრაფო სათათბირო გამოუჩნდა.

ამასობაში კი ლუის ვან გაალმა თქვა:

— მე რონალდოსთან მუშაობა მსურს. თუ ის წავა, მაშინ ვიღაც ახალი სრულფასოვანი ფეხბურთელია მოსაძებნი.

ამრიგად, სანამ ფიფა რონალდოზე ფიქრობს, რონალდო კი „ინტერზე“, ბარსელონაში ჩაიდა და პირველი ოფიციალური პრეს-კონფერენცია გამართა „აიაქსის“ ყოფილმა მწვრთნელმა, აწ უკვე „ბარსელონას“ თავკაცმა ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა.

— მე „ბარსელონას“ ხელმძღვანელებს ახალი სტრუქტურის გამართვა ვთხოვე. შესაძლოა, პრესას უფრო ის აინტერესებს, რაც მოკლე ხანში მოხდება, მე კი გრძელვადიანი პროექტები მიმაჩნია მნიშვნელოვნად — თქვა ახალმა მწვრთნელმა.

სხვათაშორის, ჰოლანდიური „აიაქსის“ საათივით აწყობილ მექანიზმს დაჩვეული ვან გაალი გაოცებულია ბარსელონელთა შედარებით უწესრიგობით.

— ბარსელონა დიდებული ქალაქია, მაგრამ კიდევ უფრო კარგი გუნდი ჰყავს. ამ დიდი გუნდით მე ისეთივე სიმაღლეების დაპყრობას ვაპირებ, „აიაქსში“ რომ დავიპყარი. — განაცხადა ვან გაალმა და თან თავისი თანამემამულე, „ბარსას“ ყოფილი მწვრთნელი იოჰან კრუიფი აქო და ადიდა.

პრეს-კონფერენციაზე ჰოლანდიელი სპეციალისტის გვერდით გუნდის ჯერ კიდევ ხუთი დღის წინანდელი თავკაცი ინგლისელი ბობი რობსონი იჯდა.

— ჩემი პირველი სურვილია ვან გაალს და მის გუნდს წარმატება ვუსურვო. ამას ზრდილობის გამო სულაც არ ვამბობ. მინდა ჩემმა შემცვლელმა ისეთ შედეგებს მიაღწიოს, იქ, ჰოლანდიაში ნაღდ შედეგებად რომ თვლიან, ჩემი მხრივ კი ვიტყვი, რომ მას სრული ხელშეწყობა ელის. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ტვირთი შევუმსუბუქო. მას შეუძლია ბრმად მენდოს — ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელმაც ამაყად ჩაამთავრა სეზონი, გუნდს თასების და ესპანეთის თასები მოაპოვებინა და მხოლოდ იმიტომ მოხსნეს, რომ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

ამიერიდან რობსონი „ბარსელონასთვის“ ახალი ფეხბურთელების ყიდვის საქმეს ჩაიბარებს და გახდება ზემოხსენებული, ვან გაალისეული ახალი სტრუქტურის მეორე მდგენელი, მესამე კი იქნება კაცი, რომლის ვინაობაც ჯერ ცნობილი არაა, მაგრამ ცნობილია მისი თანამდებობა — ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი. ამბობენ ამ საქმის საკეთებლად „ბეტისის“ ორიოდ დღის წინ გადამდგარ მწვრთნელს ლორენსო სერა ფერერს მიიწვევენო. ეს ის სერა ფერერია, რომელმაც გასულ შაბათს ფინალში „ბარსასთვის“ თასის წართმევა სცადა და კინაღამ შეძლო.

ბოლოს კი ახალ ფეხბურთელებზე: კატალონიელთათვის უკვე ცნობილია, რომ ახალი სეზონიდან მათ გუნდში ითამაშებენ „მილანიდან“ გადასული ფრანგი კრისტოფ დუგარი და ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერი, აგრეთვე ბელგრადის „პარტიზანის“ წევრყოფილი დრაგან ჩირიჩი. ამბობენ, ამ ფეხბურთელების შეძენაში ხელი ლუის ვან გაალს ურევიაო. შესაძლოა ვან გაალის დაჟინებით „ბარსელონაში“ მალე პორტუგალიელი პაულინიუ სანტუშიც გამოჩნდეს.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

# ᲚᲝᲗᲐᲠ ᲨᲔᲐᲜᲓᲐᲛᲮᲔᲕᲘ

ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა მასსა და „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას შორის არსებული დაძაბულობა შეანელა. მან თქვა, რომ მისი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ მიუნხენის დიდ გუნდთან არის დაკავშირებული.

— მე იმედი მაქვს და მწამს, რომ თამაშს „ბაიერნში“ განვაგრძობ. ვგრძნობ პასუხისმგებლობას გულშემატკივართა წინაშე, რომლებთანაც საუცხოო ურთიერთობა მაქვს. ბოლოსდაბოლოს, გუნდთან ასე დაშორება სირცხვილი იქნებოდა — განუცხადა მათეუსმა ჟურნალ „შპორტ ბილდს“.

36 წლის მცველის ეს განცხადება დაუყოვნებლივ მოჰყვა „ბაიერნის“ პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის განრისხებას ფეხბურთელის ქცევის გამო. მათეუსმა პირობა დადო, რომ მასსა და სხვა მოთამაშეებს შორის კამათი აღარ გაიმართება.

— სეზონის ბოლო სამმა თვემ გვაჩვენა, რომ მე შემეძლო მუშაობა იმ ხალხთან, ვინც ვერ მიტანს — განავრცო თემა ფეხბურთელმა, რომელიც ყველაზე მეტად კაპიტნობიდან გადაყენებამ შეურაცხყო.

„ბაიერნის“ ახალმა კაპიტანმა თომას ჰელმერმა კი განაცხადა, რომ მათეუსის და სხვა თანაგუნდელების შერიგების იმედი აქვს. სხვათაშორის, აქამდე მათეუსი ჰელმერისგან საჯარო ბოდიშს ითხოვდა, ავადმყოფი მიწოდაო.

— მე ლოთართან პრობლემა არ მაქვს, მაგრამ მან უნდა გვაჩვენოს, რომ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად მზადაა. ეს იმიტომაა საჭირო, რომ წარმატება მხოლოდ თანადგომასა და მეგობრობას მოაქვს — განმარტა ჰელმერმა.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

### XVI ᲢᲣᲠᲘ

გუშინ ვლადიკავკაზში „ალანიამ“ 2:0 დაამარცხა ჩემპიონი „სპარტაკი“, ამაში ლომის წილი კი გახოკიძემ და კობიაშვილმა დაიდეს — ლევანმა მეორე გოლიც გაიტანა. საერთოდაც, „ალანიას“ მიერ კარში დარტყმების ნახევარზე მეტი სწორედ კობიაშვილის ანგარიშზეა. გუშინვე ახალ გუნდში დებიუტი ჰქონდა მიხეილ აშვეთიას, რომლის აქტიურობითაც „სპარტაკის“ მცველმა შეცდომა დაუშვა და ამით ტიმოფეევმა იხეირა. მე-60 წუთზე აშვეთია შეცვალეს, მატჩის ბოლოს კი მისი ბედი ცხადაძემაც გაიზიარა.

**სხვა მატჩები: როტორი — ტორპედო 1:2, დინამო — ჩერნომორეცი 0:0, ლოკომოტივი — ზენიტი 0:0, ნოვგოროდი — ცსკა 3:1 (ნოვგოროდელთა ერთი გოლი იონანიძემ გაიტანა), როსტსელმაში — კრილია სოვეტოვი 1:1, ჟემჩუჟინა — შინიკი 2:1, ტიუმენი — ბალტიკა 0:1, ფაკელი — კამაზი 4:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:10 | 31 |
| როტორი | 16 | 9 | 4 | 3 | 28:14 | 31 |
| დინამო | 16 | 9 | 4 | 3 | 18:8 | 31 |
| ტორპედო | 16 | 8 | 3 | 5 | 26:19 | 27 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 7 | 3 | 21:16 | 25 |
| ჩერნომორეცი | 16 | 6 | 7 | 3 | 18:14 | 25 |
| ალანია | 16 | 7 | 2 | 7 | 26:17 | 23 |
| ჟემჩუჟინა | 16 | 6 | 5 | 5 | 12:13 | 23 |
| როსტსელმაში | 16 | 5 | 8 | 3 | 15:12 | 23 |
| ბალტიკა | 16 | 4 | 9 | 3 | 16:13 | 21 |
| კრილია | 16 | 5 | 4 | 7 | 8:14 | 19 |
| ზენიტი | 16 | 4 | 7 | 5 | 9:14 | 19 |
| ნ.ნოვგოროდი | 16 | 5 | 3 | 8 | 12:18 | 18 |
| კამაზი | 16 | 5 | 1 | 10 | 16:32 | 16 |
| ტიუმენი | 16 | 4 | 4 | 8 | 13:19 | 16 |
| ცსკა | 16 | 4 | 4 | 8 | 13:21 | 16 |
| შინიკი | 16 | 3 | 7 | 6 | 13:23 | 16 |
| ფაკელი | 16 | 3 | 1 | 12 | 9:21 | 10 |

# ჰაილ, კიფერ?

უიმბლდონზე გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წვიმიანი პირველი კვირის შემდეგ ტურნირზე მოვლენები საოცარი სისწრაფით განვითარდა და ორშაბათ-სამშაბათს პირველ მეოთხედფინალის საგზურებსაც გამოუჩნდნენ მფლობელები.

## ორშაბათი

ცნობილი ჩოგბურთელის მამობა არც ისე უსაფრთხო და სარფიანი საქმეა, როგორც ბევრს ჰგონია. შარშან შვილის მიერ მოხვეჭილი მილიონების საგადასახადო ინსპექციისთვის დამალვამ შტეფი გრაფის მამა სასამართლოს კარამდე მიიყვანა. შვილის გამარჯვებებით გახარებული მარტინა ჰინგისის დედა ხანდახან კორტზეც კი კუნტრუშებს, მამა კი მშობლიურ ჩეხეთში კვლავ უბრალო მუშაკია. როლან გაროსის წლევანდელი ჩემპიონის, ბრაზილიელი გუსტავო კურტენის ისტორია სულაც ტრაგიკულია — მამამისი ჩოგბურთის ერთ-ერთი მატჩის მსაჯობისას კორტზევე გარდაიცვალა გულის შეტევით. ჰოდა, ალბათ აღარც უნდა გაგვიკვირდეს, რომ მონიკა სელეშის მამას კიბო სჭირს. ექიმებმა მას მონიკას თამაშის ყურებაც აუკრძალეს, რათა ზომაზე მეტად არ ინერვიულოს. საერთოდ, სელეშს წელს ძალზე არ უმართლებს. ჯერ იყო, ტრავმის გამო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი გამოტოვა, როლან გაროსის ნახევარფინალში კი უმძიმესი და ულამაზესი ბრძოლა წააგო მარტინა ჰინგისთან. მონიკა რატომღაც ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებსაც ათვალწუნებული ჰყავთ და ძვირს არ იშურებენ მისთვის.

*ჩვენმა გაზეთმა სელეშის გულშემატკივრები კი გაახარა წინა „სარბიელში“ მისი გამარჯვების ამბით, მაგრამ საქმე „მთლად ვერე“ არ ყოფილა და ბოდიში გვეკუთვნის:* სელეშის მეტოქე მეთექვსმეტედფინალში საკმაოდ ძლიერი ფრანგი — სანდრინ ტესტუ იყო. იმედია, კაროლ სელეში არ არღვევს ექიმთა მოთხოვნებს, რადგან ამ დღეს შვილისგან მან ვერაფერი შვილი საჩუქარი მიიღო. მონიკამ შესანიშნავად დაიწყო თამაში და პირველი სეტი 6:0 მოიგო. ამ შემდეგ კი კორტზე ფრანგი დომინირებდა. ტესტუ კარგად იყენებდა ამერიკელის პასიურობას და არადამაჯერებელ თამაშს უკანა ხაზზე, თავად ხშირად გარბოდა ბადესთან და ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი გადამწყვეტი მესამე სეტიც მოიგო — 8:6. თამაშის შემდეგ სელეშმა აღიარა, რომ შორსაა თავისი საუკეთესო ფორმისგან, მაგრამ აღრე თუ გვიან უიმბლდონის მოგების იმედი ნამდვილად არ დაუკარგავს.


AP ფოტოები

სელეში — ოცნება გადაიდო

ქალთა ტურნირზე სხვა მოულოდნელობები ამ დღეს არ მომხდარა. მერვედფინალის საგზურები მოიპოვეს მარი პირსმა, არანჩა სანჩეს-ვიკარიომ, იანა ნოვოტნამ, მერი-ჯო ფერნანდესმა.

ამავე დღეს მეოთხედფინალის პირველი საგზურის მოსაპოვებლად თაობათა ჯახიც შედგა — 32 წლის ვეტერანი ჰელენა სუკოვა რუს ყმაწვილქალ ანა კურნიკოვას შეხვდა. 1997 წელი ქალთა ჩოგბურთში ლოლიტების დომინირებით აღინიშნება. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი 16 წლის ჰინგისმა მოიგო, როლან გაროსი 19 წლის მაიოლიმ. ამ თამაშშიც ახალგაზრდობამ იმარჯვა. მოდელის გარეგნობის მქონე გრძელკანჯა ანამ კვლავ წააგო პირველი სეტი — 2:6, თუმცა შემდეგ „მკვლელი“ ორხელა ბექჰენდებით და ბადესთან შესანიშნავი თამაშით დაქანცა მეტოქე და ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:3 მოიგო.

კაცებს შორისაც ერთი განთესილი გავარდა — ანდრეი მედვედევი, თუმცა ამ მარცხს რამდენიმე სუბიექტურ-ობიექტური მიზეზი შეიძლება მოეძებნოს. პირველი — მისი მატჩი გერმანელ ნიკოლა კიფერთან „ჩემპიონების სასაფლაოდ“ ცნობილ მეორე კორტზე შედგა; მეორე — იგი უსიამოვნო მე-13 ნომრად იყო განთესილი, და მესამე — მედვედევის დიდი წარმატებები ბალახის საფარს არასოდეს უკავშირდებოდა. ასეა თუ ისე, კიფერმა მოიგო — 6:4, 6:2, 6:7, 6:4. მისი მოწინააღმდეგე მერვედფინალში ფეხბურთის და მოსკოვის „სპარტაკის“ დიდი გულშემატკივარი — ევგენი კაფელნიკოვი გახდა. ჟენიამ კვლავ არადამაჯერებლად ითამაშა მოწოდებებზე და ბადესთან, თუმცა შარშანდელი ნახევარფინალისტი, ავსტრალიელი ჯეისონ სთოლთენბერგი მაინც დაამარცხა — 6:3, 7:6, 4:6, 6:3.

მეთექვსმეტედ განთესილმა პეტერ კორდამ ხუთსეტიან დაძაბულ ბრძოლაში ამერიკელი ალექს ობრაიენი დაამარცხა — 6:3, 4:6, 6:3, 6:7, 6:4. მოიგო მარსელო რიოსმაც. მერვედფინალში სამი ავსტრალიელიც გავიდა — ცნობილი ვუდების წყვილის ორივე წევრი — ვუდბრიჯი და ვუდფორდი და მეთორმეტედ განთესილი პატრიკ რაფტერი.

შეუფერხებლად მიიწევენ წინ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონები — გერმანელი ბორის ბეკერი და ამერიკელი პიტ სამპრასი. მათ, შესაბამისად, ინგლისელი მარკ პეჩი და ზიმბაბველი ბაირონ ბლეკი გაანადგურეს სამ-სამ სეტში.



ბეკერი კვლავ ფავორიტია

## სამშაბათი

გერმანელი ნიკოლა კიფერი ნაცისტია. მან არ იკმარა უკრაინელი ანდრეი მედვედევი და მას რუსი ევგენი კაფელნიკოვიც მიაყოლა. „კალაშნიკოვად“ წოდებული ჟენია წინა თამაშებში მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ ირჯებოდა და არცაა გასაკვირი, რომ ბალახზე ზედიზედ მეცხრე მატჩის მოგება ვერ მოახერხა. თამაში ისევ „ჩემპიონების სასაფლაოზე“ ტარდებოდა და გერმანელი პირველი ორი სეტის გადამწყვეტ მომენტებში კარგი თამაშის წყალობით დაწინაურდა — 7:6, 7:5. მესამე სეტში სოჭელი კი გამოფხიზლდა, მაგრამ მეოთხის დასაწყისში თავისი მოწოდება დაკარგა და წინ მეტოქე გავიდა — 3:1 ამ დროს უიმბლდონს ძველმა ნაცნობმა შეახსენა თავი — ლონდონში კვლავ გაწვიმდა. თავსხმა სამ საათს გრძელდებოდა, მაგრამ ორგანიზატორთა და მაყურებელთა გასახარად საღამოს გამოიდარა. ჟენიამ ღვთით ნაბოძები შესვენება აშკარად ვერ გამოიყენა — მატჩის განახლების შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი წააგო და უიმბლდონს მორიგი სენსაცია არგუნა.

უკვე მერამდენე წელია, გერმანიაში უშედეგოდ ეძებენ ბეკერისა და შტიხის შემცვლელებს. ვერ გაამართლეს იმედები მარკ გელნერმა, ჰენდრიკ დრეკმანმა, ბერნდ კარბახერმა. გერმანელებს წელს ახალი იმედი გაუჩნდათ — 19 წლის ტომი ჰაასი, თუმცა ციდან ვარსკვლავებს ისიც ვერა წყვეტს. აი, ყველასგან უგულვებელყოფილმა, ასევე 19 წლის ნიკოლა კიფერმა კი ვარსკვლავები საუზმედ მიირთვა. ახალგაზრდა თანამემამულეს მეოთხედფინალში ბეკერი და შტიხიც დაუმშვენებენ მხარს. ნათქვამია, ბებერი ჩოგბურთელის რქებიც ხნავენო (ისე, არა მგონია, ამ ორს ცხოვრების მშვენიერი მეგზურები ლალატობდნენ) და ყოფილმა ჩემპიონებმაც კვლავ საჩემპიონო თამაში უჩვენეს.

28 წლის შტიხი, რომელიც წელს უკანასკნელად გამოდის უიმბლდონზე, მარკ ვუდფორდს შეხვდა. შტიხი კორტზე ძალზე ჰპირვეულობდა, მაყურებლების ყოველ შეძახილზე ბრაზდებოდა და გაუთავებლად ედავებოდა მსაჯებს, თუმცა მეტოქისთვის შანსი არ დაუტოვებია — 6:4, 6:7, 6:3, 7:5.

29 წლის ბორის ბეკერი უკანასკნელად არ გამოდის უიმბლდონზე, თუმცა ასაკი მაინც თავისას შერება. წელს ბორისი მეოთხედ აპირებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. იგი ძალზე სერიოზულად ემზადებოდა ტურნირისთვის და ჯერ კიდევ მაისში იქირავა ბინა ლონდონში. ჯერჯერობით ბეკერი ძალზე შთამბეჭდავად თამაშობს. იგი ისე გავიდა მეოთხედფინალში, ერთი სეტიც არ წაუგია. მისი მორიგი მსხვერპლი ჩილელი მარსელო რიოსი გახდა. სამხრეთამერიკელს არ უყვარს ბალახის საფარი და თავისი ტანჩიაობის და სუსტი მოწოდების გამო აქ მაინცდამაინც დიდი შანსებიც არა აქვს. გერმანელის მძლავრ მოწოდებასა და ბადესთან გამოსვლებს მან ვერაფერი დაუპირისპირა და დამარცხდა — 2:6, 2:6, 6:7.


REUTERS ფოტოები

ახალი გერმანელი ნიკოლა კიფერი

განგლისელებულმა კანადელმა გრეგ რუზეცკიმ გულშემატკივრები არ ანერვიულა და ამერიკელ რიჩი რენებერგს ადვილად მოუგო — 7:6, 6:4, 7:6. რუზეცკიმ, რომელიც ჯერაც აქცენტით მეტყველებს ინგლისურად, თამაშში 32 ეისი მიაწოდა და მთელი ტურნირის განმავლობაში უკვე 109 სუფთა მოწოდება დაუგროვდა. რუზეცკიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე შეჩერებას არ აპირებს და საერთო წარმატების იმედიც აქვს.

ინგლისელის მეტოქე მეოთხედფინალში იქნება ფრანგი სედრიკ პიოლინი, რომელმაც მერვედფინალში ახალზელანდიელი ბრეთ სთივენი დაამარცხა ოთხ სეტში — 3:6, 6:3, 6:4, 7:5. პიოლინი ერთ დროს ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობდა, საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულშიც შედიოდა და უიმბლდონის მეოთხედფინალში აქამდე ორჯერ ყოფილა, მაგრამ ბოლო ორი წელია საქმეები კარგად არ მისდის და კლასიფიკაციაშიც საკმაოდ დაქვეითდა.

ორი ავსტრალიელის, პატრიკ რაფტერისა და ტოდ ვუდბრიჯის შეხვედრა ამ უკანასკნელმა მოიგო — 6:7, 6:4, 7:6, 6:3 და კარიერაში პირველად უწია დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალს.

კიდევ ორი მეოთხედფინალის დასრულება წვიმისა და სიბნელის გამო არ მოხერხდა. თიმ ჰენმანი წინ არის შარშანდელ ჩემპიონ კრაიჩეკთან შეხვედრაში — 7:6, 6:7, 7:6. მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი ჩეხ კორდას უგებს — 6:4, 4:2.

ქალთა ტურნირში ყველა მეოთხედფინალის მონაწილე გაირკვა.

მოუთმენლად ელოდნენ არანჩა სანჩეს-ვიკარიოსა და მარი პირსის შეხვედრას. არანჩა ბოლო ორი წლის ფინალისტია, თუმცა წელს ძალზე სუსტად ასპარეზობს და ფავორიტად აღარავინ თვლიდა. ყველასათვის მოულოდნელად ესპანელმა აშკარად დაჩაგრა პირმშვენიერი მარი. პირველი სეტი მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა — 6:1 მეორეში პირსი ოდნავ უკეთ თამაშობდა, თუმცა მერვე გეიმში მშრალად წააგო თავისი მოწოდება. არანჩამ ბოლოს ორი ეისი მიაწოდა, მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ორმაგი შეცდომაც არ დაუშვია და 58 წუთში დამსახურებულად დაამარცხა ხელმტკივანი მეტოქე — 6:1, 6:3.

ეს ანგარიში ძალზე პოპულარული აღმოჩნდა სამშაბათს. ასე მოუგო ტურნირის მთავარმა ფავორიტმა მარტინა ჰინგისმა საბინე აპელმანსს და ჩეხმა დენიზა ხლადკოვამ ვენესუელელ მარია ვენტოს. ხლადკოვას გარდა უიმბლდონს კიდევ ერთი მოულოდნელი მეოთხედფინალისტი ჰყავს — ინდონეზიელი იაიუკ ბაზუკი. მან 31 წლის კანადელი ვეტერანი პატრისია ჰულე დაამარცხა — 6:0, 7:6.

სელეშის მძლეველმა ტესტუმ ვერ გაუძლო კიდევ ერთ მარათონულ შეხვედრას და თანამემამულე ნატალი ტოზიასთან წააგო — 6:4, 5:7, 10:12.

მეოთხედფინალში გავიდნენ მესამე და მეოთხე განთესილები — იანა ნოვოტნა და ივა მაიოლი. ნოვოტნამ ჩვეულად, სამ სეტში მერი-ჯო ფერნანდესს მოუგო — 5:7, 6:4, 7:5, მაიოლიმ კი ირინა სპირლეა დაამარცხა — 6:7, 6:1, 9:7.

**ბაიოზ ბერიძე**

# შტეფი გრაფი ბებრებით გვაშინებს

## თავად კი 2000 წელს მხოლოდ გასართობად ითამაშებს

**უიმბლდონის ტურნირმა ერთ-ერთი ფავორიტი, შტეფი გრაფი მოისაკლისა, რომელმაც ორი კვირის წინ ოპერაცია გაიკეთა. ჟურნალისტების ამბავი მოგეხსენებათ — ჩოგბურთელს ჭრილობა გვარიანად შეხორცებულიც არ ჰქონდა, რომ „შპორტ-ბილდის“ კორესპონდენტი დაადგა და ეს ინტერვიუ ჩამოართვა.**



**— როგორ გრძნობთ თავს მუხლის ოპერაციის შემდეგ?**

— მშვენივრად. ოპერაციამ მოსალოდნელზე კარგად ჩაიარა. ფეხის დატვირთვის უფლებაც კი მომცეს. ექიმი პირველი დღეების აღდგენითი პროცესით მეტად კმაყოფილია.

**— ესე იგი, თქვენს 28-ე დაბადების დღეს არცთუ უგუნებოდ შეხვდით.**

— კარგ გუნებაზე ვიყავი, მშვენივრად გავატარე დღე დედასთან და ძმასთან ერთად. საჩუქრად ბევრი ყვავილი და მისალოცი ბარათი მივიღე, მეგობრებსაც შევეხმიანე ტელეფონით.

**— ალბათ გაოგნდით, როცა გაიგეთ, რომ ოპერაცია გელოდათ...**

— პარიზში ამანდა კუტცერთან მატჩის შემდეგ მუხლი ისე ამტკივდა, რომ ჩემპიონატისთვის გამართულ ბანკეტზე წასვლა ვერ შევძელი. მეორე დღესვე გავფრინდი ვენაში გამოსაკვლევად. გადაწყვეტილება ოპერაციის შესახებ დაუყოვნებლივ მიიღეს, რადგან გაჭიანურებას შესაძლოა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა — მუხლის მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა.

**— მომავალზე რას ფიქრობთ?**

— მინდა ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვე ექიმების რჩევებს და აუჩქარებლად გამოვჯანმრთელდე. ჯერჯერობით ყველაფერი ბაურკვეველია, თერაპიული კურსის დასრულებას უნდა დაველოდო.

**— უიმბლდონის ტურნირს ტელევიზიით უყურებთ თუ მისი გაგონებაც არ გსურთ?**

— მკურნალობა განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვს, მაგრამ, უიმბლდონს მაინც ვუყურებ.

**— როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ თქვენი თაობის გამოცდილ ჩოგბურთელებს „გადარეული ახალგაზრდების“ მოთოკვა?**

— მომავალი რომ ახალგაზრდებისაა, ეს საფრანგეთის ღია ჩემპიონატმაც დაგვანახა, მაგრამ, ვფიქრობ, უიმბლდონზე „ბებრებიც“ — მონიკა სელეში, არანტა სანჩესი, მერი ჯო ფერნანდესი და იანა ნოვოტნა გამოიღებენ ხელს. ფავორიტებად მე სწორედ ეს ჩოგბურთელები მიმაჩნია.

**— მარტინა ჰინგსზე რას იტყვით?**

— ჩემი აზრით, მას ჭკუის დარიგება არ სჭირდება. ის, რასაც მან თავისი მოკლე პროფესიული კარიერის მანძილზე მიაღწია, საოცარია. რა თქმა უნდა, აქვს პატარ-პატარა ნაკლოვანებები, მაგრამ მათი გამოსწორება ყოველთვის შეიძლება. ჰინგისი უეჭველად შეეცდება ამ ხარვეზების აღმოფხვრას.

**— ახალგაზრდა გერმანელებს შორის თუ გეგულებათ ნიჭიერი ჩოგბურთელები?**

— 16-დან 18 წლამდე ასაკისანი არაფრით გამოირჩევიან, ალბათ, უფრო ნორჩებში არიან ისეთები, რომლებიც დიდ შედეგებს მიაღწევენ.

**— თქვენ ვეტერან ჩოგბურთელთა რიცხვს მიეკუთვნებით. რომანტიზმით ხომ არ დაავადდით — გარდასულ დიდ წარმატებებს არ იგონებთ ხოლმე?**

— ადრეული გამარჯვებები იშვიათად მახსენდება. მე დღევანდელობით ვცხოვრობ. ყველაზე ხშირად კი გასული წლის საფრანგეთის ღია ჩემპინატს ვიხსენებ. ეს ყველაზე ემოციური გამარჯვება იყო ჩემს კარიერაში. ტყუილად არ მივარჯიშია ამდენი — ეს ღირდა იმად, რომ ასეთი დიდი სიხარული განმეცადა. ისე, ყველა წარმატებას განსაკუთრებული ადგილი აქვს ჩემს მეხსიერებაში, თუნდაც — ათი წლის წინ პარიზში „დიდი სლემის“ ტურნირში პირველ გამარჯვებას.

**— ყველაზე დიდი მატჩი თქვენი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე...**

— კონკრეტულ თამაშებზე დიდად როდი ვფიქრობ. უბრალოდ, მახარებს, რომ შევძელი რამდენიმე თაობის ჩოგბურთელებთან ასპარეზობა — ტრეისი ოსტინითა და მარტინა ნავრატილოვათი დაწყებული, მონიკა სელეშითა და ჯენიფერ კაპრიატით დამთავრებული. ახლა კი მარტინა ჰინგისის თაობასთან მიწევს ჭიდილი.

**— უხერხული მეტოქეებიც გეყოლებოდათ...**

— ასეთი, ალბათ, სელეში იყო, როცა თავის საუკეთესო ფორმაში იყო. ნავრატილოვასთანაც ძალიან მიჭირდა თამაში.

**— თუ აღდგენითმა პროცესმა კარგად ჩაიარა, 2000 წელს ისევ ითამაშებთ ჩოგბურთს?**

— ვითამაშებ, ოღონდ, მხოლოდ გართობის მიზნით.

თარგმნა
**ერეკლე ძიძილაშვილმა**

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

25% ფასდაკლებით!!!

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს A.I.P.S. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, AIPS-ის კოორდინატორი ელგუჯა ბერიშვილი



# გილოცავთ, კოლეგებო!

## 2 ივლისი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეა

— თვენახევრის წინ, მაისის შუა რიცხვებში, ოვიედოში გამართულ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის მე-60 კონგრესზე სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეზე, მის რაობასა და მნიშვნელობაზე ცალკე დისკუსია მოეწყო. არაერთი საინტერესო და საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა. „გაძეტა დელო სპორტის" მიმომხილველმა გვიდო ფასულომ კი ასეთი რამ თქვა: „ერთი დღით ნუ შემოიფარგლებით, 2 ივლისი კარგია, მაგრამ ჩემთვის მკითხველთან ყოველ შეხვედრას დღესასწაულის მნიშვნელობა აქვს. კვირაში, სულ ცოტა, ორ წერილს მაინც ვაქვეყნებ, თვეში — რვას, წელიწადში — ასამდე. მაშასადამე, წელიწადში ასი დღე ჩემია"...

2 ივლისი, ცხადია, სპორტული ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის სიმბოლოა და ამით განსხვავდება სხვა დღეებისგან. რატომ მაინცდამაინც 2 ივლისი? 1924 წლის 1-3 ივლისს პარიზში გაიმართა სპორტულ ჟურნალისტთა პირველი კონგრესი — სწორედ 2 ივლისს გამოცხადდა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის დაარსება. ამ საქმის მოთავენი და ფუძემდებელნი, სამწუხაროდ, ცოცხალთა შორის აღარ არიან; მიიცვალა ღირსეულ ადამიანთა ის თაობაც, რომელმაც ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკას ჩაუყარა საფუძველი. 2 ივლისი, უწინარესად, მათი ხსენების დღეა. მიხეილ კაკაბაძე, ზურაბ ჯაფარიძე, არჩილ გოგოლაშვილი, ბიჭიკო ქორქია, არჩილ მხეიძე, ნოდარ გუგუშვილი...

ვსარგებლობ შემთხვევით და კოლეგებს ვაუწყებ, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომის ამასწინდელი დადგენილებით, დაწესებულია ცნობილი ჟურნალისტისა და მოღვაწის ნოდარ გუგუშვილის პრემია. ეს ჯილდო წელიწადში ერთხელ გადაეცემა პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტს პრესაში სპორტული თემატიკის კვალიფიციური გაშუქებისთვის, წლის საუკეთესო პუბლიკაციისთვის. სხვათა შორის, ჩვენი ასოციაცია გამოსაცემად ამზადებს ბატონ ნოდარის მიერ შედგენილ წიგნს — პირველ ქართულ ოლიმპიურ ენციკლოპედიას, რომელიც წლეულს შემოდგომაზე გამოიცემა.

ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკას მრავალწლიანი ისტორია აქვს. სპორტული ჟურნალისტები სპორტის მოღვაწეებთან, მწვრთნელებთან, სპორტსმენებთან ერთად ქმნიდნენ ჩვენი სპორტის მატიანეს.

დღეს ამ საქმეს ჟურნალისტთა ახალი თაობა აგრძელებს.

ყველა ჩემს კოლეგას — „ძველებსაც" და „ახლებსაც" ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს — სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს.



AIPS-ის მე-60 კონგრესის მასპინძელი ოვიედო

# ჟამი ზეიმისა, ჟამი გახსენებისა

AIPS-ი სოკის მსგავსად პარიზში დაარსდა, ოღონდ 30 წლის შემდეგ, 1924 წელს. მისი პირველი კონგრესი მე-8 ოლიმპიადის დღეებში, 1-3 ივლისს გაიმართა. ახლა კი იგი 73 წლისაა და მესამოცე კონგრესი ესპანეთის ქალაქ ოვიედოში იზეიმა ამაყად.

თავიდან AIPS-ის კონგრესები ოლიმპიადის წლებში იმართებოდა, ასე იყო 1924, 1928 და 1932 წლებში. მოგვიანებით, კონგრესები გახშირდა და ორ წელიწადში ერთხელ მართავდნენ, თუმცა მეორე მსოფლიო ომმა 1939-46 წლებში ჟურნალისტთა საერთაშორისო საქმიანობა ჩაშალა. მას მერე კი უკონგრესოდ მხოლოდ ორმა წელიწადმა ჩაიარა.

ევროპის გარეთ პირველი კონგრესი 1976 წელს გაიმართა მეხიკოში. თუმცა ყრილობა მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქ მონრეალსაც ესტუმრა იმ დღეს, როცა მონრეალის მთავარ სარბიელზე ბალახის საფარის პირველი მონაკვეთი დააგეს. შემდეგ რამდენიმე წელიწადი ისევ ევროპისა იყო, 1981-ში კი კონგრესს ბრაზილიამ, კერძოდ სან პაულუმ უმასპინძლა. პირველი აზიური ქვეყანა გახლდათ კორეა, სადაც 1987 წელს კონგრესი სეულში მოეწყო, აფრიკამ კი პირველად ზაირში მიიღო 1988-ში საერთაშორისო ჟურნალისტები.

დღეს ევროპის გარეთ გამართული კონგრესი გაოცებას აღარ იწვევს: ტორონტო 1990, კვებეკი 1995, კუალა ლუმპური 1996, 1998-ში კი მასპინძელი ურუგვაი იქნება. რაც შეეხება აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებს, ის ოთხ წელიწადში ერთხელაა — წინაზე, 1993 წელს, სტამბოლში მოეწყო, ახლა ოვიედოში.

არიან კოლეგები, რომლებიც თითქმის ყოველწლიურად ესწრებიან კონგრესებს. AIPS-ი დასტირის მის საპატიო წევრს, ავსტრიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს იოზეფ „პეპი" სტრაბლს, რომელიც გასულ ზამთარს გარდაიცვალა. იგი 90 წლისა გახლდათ და 40-ჯერ დასწრებოდა ჩვენს კონგრესებს. ვიხსენებთ აგრეთვე ყოფილ პრეზიდენტს, ბელგიელ ვიქტორ ბოინს. იგი 1932-იდან 1955 წლამდე უძღვებოდა ორგანიზაციას, იყო თვითმხილველი პირველი კონგრესისა და დასწრებოდა ოცდაათს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დელეგატი გახლდათ ესპანეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, ჩვენი საპატიო წევრი ხოსე მარია ლორენტე. მან ორჯერ ითავა კონგრესის ესპანეთში გამართვა.

ესპანეთი გახლდათ 50-წლიანი AIPS-ის კონგრესის მასპინძელი. ეს 1974 წელს მალაგაში მოხდა. მესამოცე წელს კონგრესი პარიზში გაიმართა, იქვე, ოღონდ ვიწრო წრეში აღინიშნა 70-ე წელიც.

1999 წელს სამოცდათხუთმეტწლოვანი AIPS-ის თავყრილობა გაიმართება. სად, ეს ჯერ არ გადაწყვეტილა. შესაძლოა, შტაბ-ბინამ, ბუდაპეშტმა უმასპინძლოს.

**მატი სალმენკულა**

AIPS-ის გენერალური მდივანი

### 60 კონგრესი

| | | |
|---|---|---|
| 1 პარიზი (საფრანგეთი) 1924 1-3 ივლისი | 21 კნოკე (ბელგია) 1957 23-24 სექტემბერი | 41 მილანი (იტალია) 1977 16-21 მაისი |
| 2 ამსტერდამი (ჰოლანდია) 1928 5 აგვისტო | 22 გიოტებორგი (შვედეთი) 1958 3-4 ივნისი | 42 სპლიტი (იუგოსლავია) 1978 7-10 იანვარი |
| 3 ოსტენდე (ბელგია) 1932 25-26 ივნისი | 23 ვენა (ავსტრია) 1959 1-6 მაისი | 43 მოსკოვი (სსრკ) 1979 25-28 მაისი |
| 4 ვარშავა (პოლონეთი) 1933 3 ივნისი | 24 ნეაპოლი (იტალია) 1960 18-19 მარტი | 44 ბადენ-ბადენი (გფრ) 1980 5-10 აპრილი |
| 5 ლუქსემბურგი 1934 | 25 პარიზი 1961 24-28 მარტი | 45 სან პაულუ (ბრაზილია) 1981 22-25 აპრილი |
| 6 ამსტერდამი 1935 | 26 მადრიდი (ესპანეთი) 1962 3-7 აპრილი | 46 ათენი (საბერძნეთი) 1982 6-10 ივნისი |
| 7 ბრიუსელი (ბელგია) 1936 | 27 ლიონი (საფრანგეთი) 1963 6-11 მაისი | 47 პარიზი 1984 1-5 მაისი |
| 8 ბერლინი (გერმანია) 1936 31 ივლისი | 28 მიუნხენი (გერმანია) 1964 11-15 მაისი | 48 სტამბოლი (თურქეთი) 1985 24-29 აპრილი |
| 9 ბრიუსელი 1937 | 29 ბუდაპეშტი (უნგრეთი) 1965 27-29 აპრილი | 49 ბარსელონა (ესპანეთი) 1986 1-5 მაისი |
| 10 ამსტერდამი 1938 31 ივლისი | 30 ჰელსინკი 1966 14-16 მაისი | 50 სეული (კორეა) 1987 24-28 აპრილი |
| 11 ბრიუსელი 1947 | 31 ბერლინი 1967 2-6 მაისი | 51 კინშასა (ზაირი) 1988 1-7 მაისი |
| 12 ბრიუსელი 1948 22 მაისი | 32 ბუქარესტი (რუმინეთი) 1968 | 52 გიოტებორგი 1989 11-16 მაისი |
| 13 ლონდონი (დიდი ბრიტანეთი) 1948 11 აგვისტო | 33 პრაღა (ჩეხოსლოვაკია) 1969 5-12 მაისი | 53 ტორონტო (კანადა) 1990 17-22 მაისი |
| 14 გენტი (ბელგია) 1950 28 აპრილი | 34 დუბროვნიკი (იუგოსლავია) 1970 18-24 აპრილი | 54 ნიქოზია (კვიპროსი) 1991 14-20 აპრილი |
| 15 ლუქსემბურგი 1951 10 მარტი | 35 მიუნხენი 1971 3-7 მაისი | 55 ბუდაპეშტი (უნგრეთი) 1992 28 აპრილი-2 მაისი |
| 16 რომი (იტალია) 1951 9-10 ნოემბერი | 36 ფლორენცია (იტალია) 1972 23-28 აპრილი | 56 სტამბოლი 1993 3-9 მაისი |
| 17 ჰელსინკი (ფინეთი) 1952 30 ივნისი | 37 ლონდონი 1973 | 57 მანჩესტერი (დიდი ბრიტანეთი) 1994 27 აპრილი-5 მაისი |
| 18 ბაზელი (შვეიცარია) 1954 14-15 ივნისი | 38 მალაგა (ესპანეთი) 1974 25-29 მარტი | 58 კვებეკი (კანადა) 1995 27-30 აპრილი |
| 19 შტუტგარტი (გერმანია) 1955 3-8 მაისი | 39 დუბლინი (ირლანდია) 1975 7-11 აპრილი | 59 კუალა ლუმპური (მალაიზია) 1996 26-29 მარტი |
| 20 კორტინა დამპეცო (იტალია) 1956 25 იანვარი | 40 მეხიკო (მექსიკა) 1976 7-11 აპრილი | 60 ოვიედო (ესპანეთი) 1997 14-18 მაისი |

### ყველა პრეზიდენტი

| | | |
|---|---|---|
| 1924-28 ფრანც რეშელი (საფრანგეთი) | 1952-56 ვიქტორ ბოინი | (დიდი ბრიტანეთი) |
| 1928-32 ფრანც რეშელი | 1956-60 ანრი შიენი (შვეიცარია) | 1977-81 ენრიკო კრესპი (იტალია) |
| 1932-38 ვიქტორ ბოინი (ბელგია) | 1960-64 ანრი შიენი | 1981-85 ფრენკ ტეილორი |
| 1938-40 ვიქტორ ბოინი | 1964-68 ფელიქს ლევიტანი (საფრანგეთი) | 1985-89 ფრენკ ტეილორი |
| 1940-48 ვიქტორ ბოინი | 1968-73 ფელიქს ლევიტანი | 1989-93 ფრენკ ტეილორი |
| 1948-52 ვიქტორ ბოინი | 1973-77 ფრენკ ტეილორი | 1993-97 თოგაი ბაიათლი (თურქეთი) |



# ქართველები ბელგიისკენ

## ანუ რატომ ჰყავთ ბერძნებს კარგი გუნდი

10 ივლისს ბელგიის ქალაქ პიპენსტერში იწყება ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის. საქართველოს ნაკრებმა წარმატებით დასძლია შესარჩევი ეტაპი და ფინალურ ტურნირზე იასპარეზებს. ჩვენი გუნდი ამლახან დაბრუნდა საბერძნეთიდან, სადაც ერთკვირიან შეკრებაზე იყო. ვესაუბრე გუნდის უფროს მწვრთნელს ნიაზ დანელიას.

— ჩვენ საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციამ მიგვიწვია და თავისი ხარჯებით ერთკვირიანი შეკრებაც მოგვიწყო ათენში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ზღაპრული მიღება არსად მინახავს. ბერძნებმა არაჩვეულებრივად კარგ პირობებში გვამყოფეს: ჩინებული სასტუმრო აუზით, ნაირნაირი და რამდენიც გინდა საკვები, და რა თქმა უნდა, შესანიშნავი დარბაზები ვარჯიშისთვის. ოთხი ამხანაგური შეხვედრაც გავმართეთ ჩვენი ბიჭების თანატოლ ბერძენთა ნაკრებთან. უნდა ითქვას, რომ საბერძნეთში კალათბურთი ნომერ პირველი სახეობაა — ფეხბურთს ბევრად გადააჭარბა პოპულარობით — და ეს ყველგან იგრძნობა. ჩვენს ამხანაგურ თამაშებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. თვითონ საბერძნეთის ჭაბუკთა ნაკრები კი ძალზე ძლიერი გუნდია და ჩემი ღრმა რწმენით, პირველობაში მთავარი ფავორიტი იქნება. ოთხივე თამაში წავაგეთ, ერთში, რომელშიც 12 ქულით დავმარცხდით, ვთვლი, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დონის გუნდზე ვლაპარაკობ! მიუხედავად ასეთი შედეგისა, ჩვენზე სპეციალური ტელეგადაცემა მოეწყო, სადაც აღინიშნა, რომ საქართველოში დიდი გაჭირვებაა, გუნდებს [illegible] არა აქვთ და მაინც ასეთი კარგი გუნდი [illegible] ქათინაურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მეც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის იმის ნახევარი პირობები რომ იყოს, რაც საბერძნეთშია, ჩვენი ნაკრები ახლა ესპანეთში იქნებოდა ევროპის ჩემპიონატზე. 9-ში ბელგიაში ისეთივე შემადგენლობით მივემგზავრებით, როგორითაც შესარჩევი ტურნირი მოვიგეთ: ირაკლი ნიჟარაძე, დავით უგრეხელიძე, ვლადიმერ ბოისა, ლაშა ბაბიაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ლევან წიკლაური, გიორგი გაგნიძე, ნიკოლოზ ვეფხვაძე და ბესო ტაბაღუა. მწვრთნელია ვაჟა ჭოტაშვილი, გუნდის უფროსი — ჯონი ქარჩავა.

ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე 12 გუნდი იასპარეზებს. ჩვენს ჯგუფში არიან იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, ხორვატია და სლოვენია, მეორე ჯგუფში — რუსეთი, ისრაელი, მაკედონია, იუგოსლავია, ბელგია და საფრანგეთი. ჯგუფებიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა, შემდეგ კი — ოლიმპიური სისტემით გამოვლინდება ჩემპიონი. თავად ხედავთ, რა ძლიერ მეტოქეებთან გვექნება საქმე, მაგრამ ალბათ, ახლა წუწუნი არ ეგების — რაც შევვიძლია, უნდა ვაჩვენოთ.

ჩვენი გუნდის კალენდარი ასეთია: 11 ივლისი — იტალია, 12 — ხორვატია, 13 — ესპანეთი; 14 ივნისი დასვენების დღეა, 15-ში საბერძნეთს ეთამაშებიან, 16-ში — სლოვენიას.

**კოტე მგალობლიშვილი**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინტერტოტო. მე-3 ტური

5-6 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო 93 — დუისბურგი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ჰერენვენი — პოლონია | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ბასტია — სილკებორგი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| დრაგოვოლიაცი — ებ ვეილი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,25 | 3,2 | 6,0 |
| არდსი — ოსერი | 10,0 | 5,0 | 1,1 |
| 1:0 | 3,5 | 3,2 | 1,5 |
| ანტვერპენი — სალამინა | 1,05 | 6,5 | 11,5 |
| 0:1 | 1,15 | 3,4 | 7,0 |
| კიოლნი — არაუ | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| მაკაბი (ფ-თ) — კორკ სიტი | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ბოლტფელაგი — დინამო | 11,5 | 6,5 | 1,05 |
| 1:0 | 7,0 | 3,6 | 1,1 |
| გენკი — სტაბეკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ჰამბურგი — ოდენსე | 1,1 | 6,5 | 11,5 |
| 0:1 | 1,3 | 3,2 | 5,0 |
| ლეიფტური — კაუნასი | 2,2 | 2,9 | 2,4 |
| უნივერსიტატე — ვერდერი | 11,5 | 6,5 | 1,05 |
| 1:0 | 6,0 | 3,4 | 1,2 |
| ისტანბულსფორი — ვაშაში | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლომელი — ჰალმშტადი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| კონგსვინგერი — ტპს | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ჟილინა — ლიონი | 4,7 | 3,1 | 1,5 |
| აუსტრია — რაპიდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მონპელიე — ჩუკარიჩკი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,1 | 3,2 | 4,0 |
| გლორია — სპარტაკი (ვარნა) | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| პუბლიკუმი — ნოვგოროდი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ანთალიასფორი — მაკაბი (ჰ) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ტორპედო — ირაკლისი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| მერანი — ფლორიანა | ანგარიში — 4,5 | | |

**სამხრეთ ამერიკა.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

6 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარაგვაი — არგენტინა | 2,3 | 2,6 | 2,5 |
| ჩილე — კოლუმბია | 2,2 | 2,9 | 2,4 |
| პერუ — ბოლივია | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ვენესუელა — ეკვადორი | 1,5 | 4,2 | 1,2 |

**კალათბურთი**

4 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| საბერძნეთი — პოლონეთი | 1,01 | 12,0 | 12,0 |
| ლიტვა — იუგოსლავია | 2,8 | 9,0 | 1,3 |
| რუსეთი — ესპანეთი | 2,3 | 9,0 | 1,4 |
| თურქეთი — იტალია | 8,0 | 9,0 | 1,05 |
| ისრაელი — გერმანია | 1,2 | 9,0 | 3,5 |
| საფრანგეთი — ხორვატია | 3,1 | 9,0 | 1,25 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# რუსებმა დრო იხელთეს, სერბებმა ხორვატებს ფანჯრები ჩაუმტვრიეს

E ჯგუფი

30 ივნისი

**ლიტვა — თურქეთი 93:85**

**ლიტვა:** იასიკევიჩუსი, ტიმინსკასი, შტომბერგასი (15), ჟუკაუსკასი (2), ლუკმინასი (16), ადომაიტისი (13), კარნიშოვასი (27), ეინიკისი (20)

**თურქეთი:** ქონუქი, თურქანი (5), ენე (12), აიდინი (3), ერდენაი (4), ქუთლუაი (32), ევლიაოღლუ (3), ბესოქი (9), ოიგუჯი (8), სარიქა (9)

ლიტველებმა არც თუ ადვილად, მაგრამ მაინც დამაჯერებლად დაამარცხეს თურქები და მეოთხედფინალში ადგილი დაიმკვიდრეს.

1 ივლისი

**თურქეთი — საფრანგეთი 82:71**

**თურქეთი:** ქონუქი (2), თურქანი (17), ენე (9), ქუთლუაი (21), ევლიაოღლუ (5), ბესოქი (4), ოიგუჯი (10), სარიქა (14)

**საფრანგეთი:** პლუვი, დიუბო (6), ფუორესტი (7), ბონატო (10), ფატუ (8), რისაშე (11), გადუ (7), ჟულიენი (16), ადამსი, ხკიარა (6)

თურქებმა საკალათბურთო ევროპაში თავისი ადგილი განიმტკიცეს. ფრანგებს კი ეს ჩემპიონატი აშკარად არ გამოუვიდათ. სარიქამ და მისმა პარტნიორებმა, რომელთა შორის ამჯერად ქუთლუაი გამოირჩეოდა, აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

**საბერძნეთი — ისრაელი 85:82**

**საბერძნეთი:** პატავუკასი, პაპანიკოლაუ (8), სიგალასი (16), კორონიოსი (14), ალვერტისი (4), ეკონომუ (20), იანულისი (5), რენციასი (6), ხრისტოდულუ (12)

**ისრაელი:** ჰენფელდი (16), არდიტი (3), თურჯმანი, კატაში (29), შეფერი (21), შელეფი (4), კოჰენი, შტეინჰაუერი (9), ფლეიშერი

ბერძნებს ამ მატჩში ძალზე გაუჭირდათ — პირველ ტაიმში მათ ებრაელთა ლიდერი კატაში ვერ გააჩერეს, მერე მას ჰენფელდიც აჰყვა და მეტოქეს დიდ მანძილზე ვერაფრით ველარ მოშორდნენ. მეორე ტაიმში კატაშს სიგალასი მიამაგრეს და ამან ნაყოფი გამოიღო. თუმცა, ამ დროს აიწყვიტა პირველ ტაიმში უხეიროდ მოთამაშე შცეინჰაუერმა და ზედიზედ სამი შედეგიანი სროლით ისრაელი დააწინაურა 62:57. ბერძნებისთვის ამ კრიტიკულ მომენტ ში ბრწყინვალე იყო სიგალასი. მან კატაში ჩაკეტა, თვითონ კი ჯერ შორეული ტყორცნით და შემდეგ შესანიშნავი გასვლებით დაასრულა შეტევები. ანგარიში საყაიმო გახდა. აქ ეკონომუც თავისებურად ამოქმედდა და მისმა ჭკვიანურმა თამაშმა ბერძნები პირველად ამ მატჩში 6 ქულით დააწინაურა. ებრაელებმა ცოტა ხნით ცხვირი ჩამოუშვეს და კორიონისმა მათი დაცვა იოლად გადალახა. მატჩის ბოლოს კვლავ გამოფხიზლდა ებრაელთა ლიერი კატაში, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ებრაელები რატომღაც დროის მოგების მიზნით ჯარიმდებოდნენ მაღჩის საუკეთესო მოთამაშე ეკონომუზე და ნიკოსიც შეუცდომლად აგდებდა საჯარიმოებს, ბერძნებმა ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგეს. მათმა მწვრთნელმა იანაკისმა აღნიშნა: „ექვს თამაშს რომ დაუმარცხებლად გავივლიდით, არანაირად არ მეგონა. ახლა კი წინ ძნელი მატჩი გვაქვს პოლონელებთან„ ეს ზრდილობის გულისთვის ნათქვამი ქათინაურია თუ საღი აზრი, ამას პარასკევს გავიგებთ.

**რუსეთი — ლიტვა 93:64**

**რუსეთი:** კარასიოვი (16), კუდელინი (12), კურაშოვი (2), კისურინი (4), ე. პაშუტინი (4), შაკულინი, ბაბკოვი (16), მიხაილოვი (14), ზ. პაშუტინი, ფეტისოვი (19), პანოვი (6)

**ლიტვა:** იასიკევიჩუსი, იურკუნასი, შეშტოკასი (4), ტიმინსკასი, შტომბერგასი (11), ჟუკაუსკასი (5), ლუკმინასი (9), ადომაიტისი (4), კარნიშოვასი (17), ეინიკისი (10), პრაშკევიჩუსი (4)

ბოლოს და ბოლოს რუსებმა ამოისუნთქეს — ლიტვის ნაკრებში აღარ არიან მათი დიდი ხნის გამამწარებლები — საბონისი, კურტინაიტისი, მარჩულიონისი, ხომიჩუსი და 10-15 წლიანი ჯავრი სულ ლიტველთა ახალ შემადგენლობაზე იყარეს. ამაში მათ ვერც კარნიშოვასმა და ვერც შტრომბერგასმა შეუშალეს ხელი. თუმცა, მთავარი ამის შემდგომი შეხვედრები იქნება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 6 | 0 | 464:419 | 12 |
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 497:398 | 11 |
| ლიტვა | 6 | 4 | 2 | 468466 | 10 |
| თურქეთი | 6 | 3 | 3 | 426:458 | 9 |
| ისრაელი | 6 | 2 | 4 | 439:478 | 8 |
| საფრანგეთი | 6 | 1 | 5 | 472:512 | 7 |

F ჯგუფი

30 ივნისი

**იუგოსლავია — ხორვატია 64:62**

**იუგოსლავია:** ბოდიროგა (10), ობრადოვიჩი (7), ლონჩარი (5), ბერიჩი, ჯორჯევიჩი (19), რებრაჩა (5), ბულატოვიჩი (10), სავიჩი (2), ტომაშევიჩი, ტოპიჩი (6)

**ხორვატია:** სესარი (5), მულაომეროვიჩი (9), ალანოვიჩი (4), რიმაცი (22), კოვაჩიჩი, პეიჩინოვიჩი (3), კელეჩევიჩი (8), პრკაჩინი (8), მარცელიჩი (3)

ეს იყო პირველი დიდი მატჩი მოსისხლე მტრებად გადაქცეულ (იქნებ არც წინათ ეხატებოდათ გულზე ერთმანეთი!) ორ ქვეყანას შორის. უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში იუგოსლავებმა იმარჯვეს. მათგან საუკეთესო კვლავ ალექსანდრე ჯორჯევიჩი იყო.




საბერძნეთი — ისრაელი: სიგალასი უტევს შეფერს

იმავე საღამოს ბელგრადში გახარებულ იუგოსლაველ გულშემატკივართა რამდენიმე ათასიანი არმია ქუჩაში გამოვიდა და ბოლოს ხორვატიის საელჩოსთან შეკრიბა. მათ საელჩოს ფანჯრები ჩაამტვრიეს, ღობე მოანგრიეს. ხორვატთა საელჩოს წარმომადგენლების განცხადებით, შენობას ნატყვიარებიც ეტყობა, რის გამოც ხორვატიის საელჩო აპირებს, ნოტა გაუგზავნოს იუგოსლავიის მთავრობას.

1 ივლისი

**პოლონეთი — გერმანია 86:76**

**პოლონეთი:** კოსციუკი (11), პლუტა, ტომჩიკი (20), ზიელინსკი (13), ვოიჩიკი (19), იანკოვსკი (11), შიბილსკი (7), დრია (5)

**გერმანია:** როდლი (15), ბოგოიერიჩი (12), ვუჰერერი (15), ჰარნიში (5), ჰუპმანი (4), მალბეკი, ფემერლინგი (12), ოკულაჯა (14)

პოლონელთა კარგი თამაში ამ ჩემპიონატის მოულოდნელობაა. გერმანელებს 8 საუკეთესო გუნდში მოხვედრის ბოლო შანსი ჰქონდათ. მათმა ლიდერებმა როდლმა და ვუჰერერმა თავი მოიკლეს, მაგრამ ვერას გახდნენ. პოლონელებმა ამ გამარჯვებით გერმანელებთან ერთად ხორვატებსაც გაასწრეს და მეოთხედფინალში მოხვდნენ.

**იტალია — ხორვატია 74:68**

**იტალია:** კოლდებელა, ბონორა (5), ფუჩკა (11), პიტისი (5), მარკონატო (8), გალანდა (6), მაიერსი (19), მორეტი, აბიო (2), ფროსინი (14), კარერა (4)

**ხორვატია:** სესარი (8), მულაომეროვიჩი (14), გირიჩეკი (4), მილაჩიჩი, რიმაცი (19), კოვაჩიჩი (6), პეიჩინოვიჩი (3), კელეჩევიჩი (2), პრკაჩინი (10), გრგატი (2)

იტალიელებმა საბოლოოდ დაასამარეს ხორვატთა იმედები. თავისი ლიდერის კარლტონ მაიერსის შემყურე სხვა იტალიელებიც ძლიერად ათამაშდნენ და ბერძნების კვალად დაუმარცხებლად განვლეს ტურნირით თავის ჯგუფში.

**იუგოსლავია — ესპანეთი 79:70**

**იუგოსლავია:** ბოდიროგა (13), ობრადოვიჩი (2), ლონჩარი (17), ბერიჩი (6), ჯორჯევიჩი (8), რებრაჩა (16), ბულატოვიჩი, სავიჩი (3), ტოპიჩი (14)

**ესპანეთი:** ანგულო (9), რ. ხოფრესა, ტ. ხოფრესა, ორენგა (2), როდგირესი (9), სმიტი (14), ესტელერი (4), მარტინესი (5), რეიესი (20), დუენიასი (7)

იუგოსლავებმა დაამარცხეს მასპინძლები. მათ რიგებში კვლავ არ იყო დაშავებული დანილოვიჩი. ჯორჯევიჩი ამჯერად უფრო პასებით ამარაგებდა პარტნიორებს, შეტევებს კი რებრაჩა და ლონჩარი აგვირგვინებდნენ. ევროპის ჩემპიონი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ მატჩში დამარცხდა, დამაჯერებლად შევიდა რვა საუკეთესოში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 6 | 0 | 443:399 | 12 |
| იუგოსლავია | 6 | 5 | 1 | 512:444 | 11 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 461:387 | 10 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 3 | 451:519 | 9 |
| ხორვატია | 6 | 1 | 5 | 440:443 | 7 |
| გერმანია | 6 | 1 | 5 | 406:443 | 7 |



# ჩემპიონებმა წააგეს

მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიში“ დაიწყო მსოფლიო ლიგის მე-8 გათამაშება ვაჟებს შორის. ლიგის ამ ფინალურ ეტაპზე ექვსი უძლიერესი გუნდი გავიდა, მათ შორის ყველა ადრინდელ ლიგის თასზე გამარჯვებული — თასის ხუთჯერ მფლობელი იტალია და თითოჯერ მომგები ბრაზილია და ჰოლანდია. ერთ დროს მსოფლიოში უძლიერესი რუსეთის ნაკრების საუკეთესო შედეგი 1993 წელს დაკავებული მეორე ადგილია. ამიტომაც მასპინძლებს სურთ, დაიბრუნონ კარგა ხნის წინ დაკარგული სალიდერო პოზიცია. თუმცა, ეს მათ , ალბათ, გაუჭირდებათ. მსოფლიოში ფრენბურთის დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა. გავრცელების არეალიც გაიზარდა და თუ 10-15 წლის წინ ამ სახეობაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ბატონობდნენ, ახლა სხვაგანაც ისწავლეს ფრენბურთის თამაში. ფინალში დღესდღეობით მართლაც უძლიერესი ექვსეული გავიდა. ეს ვერ შეძლეს ისეთმა ძლიერმა ნაკრებებმა, როგორებიც არიან ოლიმპიადის მესამე პრიზიორი იუგოსლავია, ვარსკვლავი ძმებით გრბიჩებით და ესპანეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელით რაფაელ პასკუალით.

მთავარი ფავორიტი მსოფლიო თასის წინა გამარჯვებული და ოლიმპიური ჩემპიონი ჰოლანდიის ნაკრებია. მართალია, ამ გუნდში აღარ გამოდის „ფრენბურთის კრუიფი“ რონ ზვერფერი, აღარ არიან იან პოსტუმა და რონალდ ზოოდსმა, მაგრამ ჰოლანდიას მაინც შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს: ძმები ბაას და მაიკ ვან დე გოორები, ოლოფ ვან დერ მიულენი, რიხარდ სხაილი, ხენკ-იან ჰელდი და გვიდო გერტცენი უბრალოდ არავის დაუთმობენ ტიტულს.

შესანიშნავად ითამაშეს შესარჩევი ტურნირი ბარსელონას ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ბრაზილიელებმა, რომელთაც შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანეს თაობათა ცვლა. ძველი ვარსკვლავები მაურიციო და ტანდე ახლებმა — უილბერტო ფილიომ და რიკარდო გარსიამ შეცვალეს. წელს კი კიდევ ერთი ამობრწყინდა — შესარჩევი ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი მაქს პერეირა.

იტალიელებს, რომელთა ბატონობასაც ჰოლანდიელებმა მოუღეს ბოლო, ახალი შემადგენლობა გამოჰყავთ. განთქმული გუნდიდან წავიდნენ დიდი მწვრთნელი, არგენტინელი ხულიო ველასკო და ვირტუოზი მოთამაშეები ძორძი, ტოფოლი, გალი, ბერნარდი. ვეტერანებიდან მხოლოდ ანდრეა გარდინი და ანდრეა ჯანი დარჩნენ. თუმცა პასკუალე გრავინას, მარკო მენინს, მიქელე პაზინატოს და მათ მეგობრებს არანაკლები ამბიციები აქვთ.

ტრადიციულად ძლიერი ნაკრები ჰყავთ კუბელებს ვეტერანი ჟოელ დესპაინის მეთაურობით.

ძლიერია ბულგარეთის გუნდიც, რომელშიც აღარ თამაშობს დიდი ხნის მანძილზე ნაკრების უცვლელი კაპიტანი დიმო ტონევი. მაგრამ კვლავ მწყობრშია 210 სმ-ის სიმაღლის თავდამსხმელი ლიუბომირ განევი. ამ გუნდში გამოჩნდა წლევანდელ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებელი ნიკოლაი ივანოვიც, ასე რომ, არც ბულგარეთის გუნდი იქნება ხელწამოსაკრავი.

ამ გუნდებთან აქვთ საქმე რუსებს, რომელთა გუნდში, მართალია, არიან მაღალი კლასის ოსტატები — იტალიაში მოთამაშე ოლიხვერი და გორიუშევი, ერთხელ ლიგის საუკეთესო თავდამსხმელი დმიტკინი, მაგრამ თასის მოსკოვში დატოვება მათთვის ძალზე ძნელი იქნება.

მსოფლიოს თასის გათამაშების პირველივე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ფავორიტები — იტალიისა და ჰოლანდიის გუნდები. შარშან „მუდმივად მეორეებმა“ — ჰოლანდიელებმა ხმა აღიმაღლეს და მსოფლიოს თასზეც და ოლიმპიადაზეც „მუდმივად პირველი“ იტალიელები დაამარცხეს. ამაზე პრინციპული თამაში სხვა რომელი უნდა ყოფილიყო.

ჰოლანდიელებს მოსკოვში ჩასვლის წინ გამოაკლდათ ერთი ძირითადი მოთამაშე რიხარდ სხაილი, სამაგიეროდ, მთელი ძალით ათამაშდა მოშუშებული ბაას ვან დე გოორი და იტალიელებთან ჰენკ-იან ჰელდთან ერთად მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. განახლებული იტალიელთა გუნდი კი, რომელსაც ცნობილი არგენტინელის ველასკოს ნაცვლად ბრაზილიელი ბებეტო წვრთნის, მხოლოდ ხანდახან ჰგავდა წინა თაობის სახელოვან ნაკრებს.

ჰოლანდიელმა პირველი ხელი 15:11 მოიგეს. მეორეში 3:9-დან გამოასწორეს მდგომარეობა, მესამე ადვილად წააგეს, მაგრამ მაინც შეძლეს მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა მეოთხე ხელში — 3:1 (15:11, 15:13, 8:15, 15:10). მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელთა უფროსი მწვრთნელი ტოონ გერბრანდსი ფიქრობს, რომ გუნდი ფორმაში არ არის და პრიზიორებში მოხვედრაც მიღწევად მიაჩნია.

კუბელებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს ბრაზილიელებთან, განსაკუთრებით იოსვან და ოსვალდო ერნანდესებმა, რომელთაც მეტოქემ ვერაფერი მოუხერხა. კუბელებმა კი დაკეტეს ბრაზილიელთა ლიდერი მაქსი და საბოლოოდ ადვილად გაიმარჯვეს — 3:0 (15:11, 15:11, 15:9).

რუსები ბულგარელებს შეხვდნენ. ეს იყო ძალზე დაძაბული შეხვედრა. აღფრთოვანება ორივე გუნდის თამაშმა გამოიწვია. საბოლოოდ ხუთ ხელში რუსებმა იმარჯვეს 3:2 (15:9, 11:15, 15:3, 11:15, 15:7).

მეორე ტურში ძალზე დაძაბული იყო შეხვედრა კუბელებსა და ბულგარელებს შორის. კარგად თამაშობდა ბულგარელი ივაილო გავრილოვი, რომელმაც ამ მატჩში ნაკლებად შესამჩნევი ლიუბომირ განევის მისია იტვირთა. თუმცა, კუბელები მაინც გამარჯვებულნი გამოვიდნენ 3:2 (4:15, 15:11, 12:15, 15:9, 15:13). ბულგარელებმა ზედიზედ მეორე ხუთხელიანი თამაში წააგეს.

მეორე ტურშივე გაირკვა, რომ ბრაზილიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე ფავორიტთა სიიდან ამოირიცხა. კუბელებთან მშრალი ანგარიშით დამარცხების შემდეგ მათ იტალიელებთანაც ასევე წააგეს 0:3 (12:15, 8:15, 12:5).

რუსთა და ჰოლანდიელთა მატჩის პირველი ხელის შემდეგ, რომელიც მასპინძლებმა 15:17 წააგეს, რუსებმა შესანიშნავად ითამაშეს. ვეტერანმა დიმეიკინმა და ახალგაზრდა კაზაკოვმა ცნობილი ჰოლანდიური ბლოკი გაარღვიეს, მაგრამ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გერბრანდსმა დროზე გამოიყვანა ვან დერ მიულენი, რომელსაც ტრავმის შემდეგ ცოტა ხნით ათამაშებდა და ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს 3:2 (15:17, 15:3, 15:4, 11:15, 13:15).

გუშინ: იტალია — ბულგარეთი 3:0, ბრაზილია — ჰოლანდია 3:0.

| | ილია მხეიძე | | |
|---|---|---|---|
| კუბა | 2 | 6-2 | 2 |
| იტალია | 3 | 7-3 | 2 |
| ჰოლანდია | 3 | 6-6 | 2 |
| რუსეთი | 2 | 5-5 | 1 |
| ბრაზილია | 3 | 3-6 | 1 |
| ბულგარეთი | 3 | 4-9 | 0 |

# დაიტაცეთ თავისუფალი აგენტები

1 ივლისიდან ნბა-ს კლუბებს უფლება მიეცათ გააფორმონ კონტრაქტები თავისუფალ აგენტებთან. შეგახსენებთ, ამ კატეგორიას ის მოთამაშეები განეკუთვნებიან, რომლებსაც ძველ კლუბებთან კონტრაქტი დაუმთავრდათ, ხოლო ახლის მოძებნაში (ანაც ძველში დარჩენაში) საკუთარი თავის გარდა არავისზე არიან დამოკიდებულნი. სხვა მრავალთან ერთად, თავისუფალი აგენტები არიან მაიკლ ჯორდანი და პატრიკ იუინგი.

შესაძლებელია, ამ კალათბურთელებმა ახალ კლუბებს მოაშურონ? ალბათ არა.

ჯორდანს დაუმთავრდა „ჩიკაგოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც 30 მილიონი დოლარი მიიღო. მაიკლმა დაამტკიცა, რომ ეს ფული ტყუილად არ გადაუხადეს — ზედიზედ მეორედ, ხოლო 1990 წლიდან მეხუთედ მოაგებინა გუნდს ჩემპიონობა. ჯორდანს წასვლა არ სურს, მაგრამ გარკვეულ მოთხოვნებს მაინც აყენებს.

მისი მთავარი მოთხოვნაა, რომ „ბულზმა“ გააგრძელოს კონტრაქტი მწვრთნელ ფილ ჯექსონთან. მაიკლს არც გუნდის დაშლა ეპიტნავება, რაშიაც სკოტი პიპენის გაყიდვას გულისხმობს, თავისთვის კი ერთწლიან კონტრაქტში 34-დან 38 მილიონ დოლარამდე ითხოვს. „ჩიკაგოს“ პატრონმა ჯერი რეინსდორფმა ბრძანა, რომ ჯექსონს ერთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და 5 მილიონს მიართმევენ. პიპენს, რომელიც გაისად ხდება თავისუფალი აგენტი, არ გავყიდითო, ხოლო მაიკლის წლიურ გასამრჯელოს მასთან მოლაპარაკების შემდეგ დავადგენო.

პატრიკ იუინგი გაცილებით ნაკლებს სთხოვს თავის „ნიუ იორკ ნიქსს“. სუპერცენტრი ოთხწლიან კონტრაქტში 60 მილიონზეც ყაბულსაა. „ნიქსს“ ესმის იუინგის თავის რიგებში დატოვების აუცილებლობა, მაგრამ ცდილობს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს. „პატრიკს ჩვენთან ყოფნა სურს — თქვა მისმა თანაგუნდელმა ჯონ სტარქსმა — ეს ბედნიერებაა, მაგრამ ბიზნესი — ბიზნესია. იმედია, „ნიქსის“ უფროსობა დათანხმდება მის წინადადებებს და კონტრაქტიც გაფორმდება. იუინგი ისეთივე სიმბოლოა ჩვენთვის, როგორც ჯორდანი — „ჩიკაგოსთვის“, ირვინგი — „ფილადელფიისთვის“ და მეჯიქი — „ლეიკერზისთვის“. იგი სხვა გუნდში ვერც წარმომიდგენია.“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისუფალი აგენტი „იუტას“ ჯეფ ჰორნაჩეკია. ამას საერთოდ არ ჰქონია მადა: ორ წელიწადში მხოლოდ 6 მილიონს ითხოვს. სავარაუდოა, რომ ჯორდანი, იუინგი და ჰორნაჩეკი დარჩებიან თავ-თავიან კლუბებში, მაგრამ სხვა თავისუფალი აგენტები უეჭველად დიდ მისვლა-მოსვლას ატეხავენ. მეტ-ნაკლებად გამოჩენილი მოთამაშეებიდან თავისუფალი აგნეტები არიან: ტაირონ კორბინი (ატლანტა), ფრენკ ბრიკოვსკი, პერვის ელისონი, რიკ ფოქსი (ბოსტონი), სტივ კერი, დენის როდმანი, ბილ ვენინგტონი, ბრაიან ვილიამსი (ჩიკაგო), კრის მილზი, ბობი ფილზი, მარკ ვესტი (კლივლენდი), პრედრაგ დანილოვიჩი (დალასი), ვინსენტ ესკიუ, ლაფონსო ელისი, შარუნას მარჩულიონისი, კენი სმიტი (დენვერი), ჯო დუმარსი, რიკ მაჰორნი, ლინდსი ჰანტერი (დეტროიტი), ედი ჯონსონი (ჰიუსტონი), კევინ დაქვორსი (კლიპერზი), რობერტ ჰორი, ტრევის ნაითი, ჯორჯ მაკლაუდი, ბაირონ სკოტი (ლეიკერზი), ვოშონ ლენარდი, ედ პინქნი (მაიამი), ტერი პორტერი, ჯეიმს რობინსონი (მინესოტა), დევიდ ბენუა, სემ კასელი, ჯო კლაინი, ტონი მასენბურგი, ქსავიერ მაკდანიელი, ერიკ მონტროსი (ნიუ ჯერსი), ნიკ ანდერსონი, ჯერალდ ვილკინსი (ორლანდო), რექს ჩეპმენი, ვეიმენ ტისდეილი, ჯონ ვილიამსი (ფინიქსი), კრის დადლი, კლიფ რობინსონი, რუმილ რობინსონი (პორტლენდი), მაჰმუდ აბდულ-რაუფი, ბობი ჰარლი (საკრამენტო), გრეგ ანდერსონი, კარლ ერერა, ევერი ჯონსონი, ვერნონ მაქსველი, დომინიკ ვილკინსი, ჩარლზ სმიტი (სან ანტონიო), ტერი კამინგსი (სიეტლი), კლიფ როზიე, კარლოს როჯერსი (ტორონტო), ანტუან კარი, ბრაიონ რასელი (იუტა), გრეგ ენტონი, პიტ ჩილქოტი (ვანკუვერი), ჰარვი გრანტი, ტიმ ლეგლერი, გეორგ მურეშანი (ვაშინგტონი).


## ბავშვთა კვება



**Gerber**

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

☎ 30-48-93

## საქართველოს პირველობა

### ა ჯგუფი. IX ტური

30. 06. ქუთაისი. გელათი 3 (3) (ს: კირიაკიდი) — ასკ 22 (10) (3ლ: სუჯაშვილი, კოდუა 2; 2გ, ს: ცოფურაშვილი). მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი

30. 06. ჭყონდიდლის დასახლება

**აზოტი 9:9 ყოჩები**

(9:0). მსაჯი გოგი ლებანიძე

აზოტი (რუსთავი): მინდორაშვილი; ძონენიძე, ჩიქვინიძე, ზ. ბერიშვილი, აფციაური; ე. ძაგნიძე, ხუციშვილი — მთიულიშვილი, ფირცხალავა, ცაბაძე; ნავროზაშვილი, უჩავა; აბდალაძე (რეხვიაშვილი), კბილცეცხლაშვილი, რაფავა. — ს (6), 2ა (14, 18): ძაგნიძე

ყოჩები (თბილისი): ენუქიძე; მხეიძე, ბარძიმიშვილი, მაჩიტიძე, ლიპარტელიანი; ტეფნაძე, გიორხელიძე — ფირიაშვილი (ესაკია), ჭავჭავაძე, ახვლედიანი; სულთანიშვილი, გიორგობიანი (ხურცილავა); ცხვედიანი (ტყეშელაშვილი), ურუშაძე, კობახიძე. — 3ს: მაჩიტიძე (42, 57), ტეფნაძე (80)

1. 07. ვაკე. ქორები 12 (9) (2ს: ძნელაძე (14, 40); 2ა: ნეველიძე (26, 78)) — გუმარი 10 (3) (ლ: ფესვიანიძე (82); გ და ს (20): მოდებაძე). მსაჯი რობიტაშვილი

### ბ ჯგუფი

21. 06. შევარდენი 26 (7) (4ლ: ჯაველიძე 2, ძაგანია, მჭედლიძე; 3გ: ძამიაშვილი) — უნივერსიტეტ-ლელო 11 (11) (ლ: კ. ჯმუხაძე; 2ს: მაისაშვილი)

27. 06. დინამო 22 (14) (2ლ, 4ს) — თბილისი 19 (13) (ლ, გ, 4ს); 28. 06. ქორები II არ გამოუცხადდა უნივერსიტეტ-ლელოს

### საერთაშორისო მატჩები

24. 06. ახალციხე. ასკ — ამსტელვეენი (პოლანდია) 21:21; 26. 06. ვაკე. უნივერსიტეტ-ლელო — ამსტელვეენი 43:31

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 7 | 6 | 1 | 0 | 177: 67 | 18- 4 | 13 |
| აზოტი (რ) | 7 | 5 | 1 | 1 | 154: 55 | 20- 1 | 10 |
| ქორები | 7 | 5 | 0 | 2 | 151: 65 | 19- 3 | 10 |
| აია-ჰეი (ქ) | 5 | 3 | 0 | 2 | 107: 49 | 12- 2 | 6 |
| ასკ | 7 | 3 | 0 | 4 | 88:187 | 11-28 | 6 |
| გუმარი | 7 | 1 | 0 | 6 | 82:125 | 8-12 | 0 |
| გელათი (ქ) | 8 | 0 | 0 | 8 | 30:242 | 2-38 | -2 |

| ბ ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 5 | 5 | 0 | 0 | 100: 14 | 15- 1 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 2 | 1 | 68: 80 | 6- 6 | 8 |
| უნივერსიტეტ-ლელო | 7 | 3 | 2 | 2 | 58:101 | 3-11 | 8 |
| თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 58: 60 | 5- 7 | 1 |
| ქორები II | 5 | 0 | 0 | 5 | 0: 29 | 0- 4 | -3 |

## რაგბი

# უდამარცხებლოდ ვის მოუგია?!



უელსელი ნილ ჯენქინსი დიდი მობურთალი არასოდეს ყოფილა, თუმცა კი ფრიად დამრტყმელადაა ცნობილი როგორც მშობლიურ „პონტიპრიზში", ასევე უელსის ნაკრებში. რადგან ამ ჯეელს მწვრთნელები „პივოტობას" (10 ნომრობას) ვერ ანდობენ, მაგრამ ვერც „ქიქერად" ელევიან, 15 ნომრად გადამალავენ ხოლმე. „ლომებს" ამჯერად გაუმართლათ — ნილმა 5 ცდით 5 გოლი შეაგდო, ერთხელ კი კინაღამ თავისსავე ლელოსთან ალაგმეს

როიტერი დურბანიდან

კვაზულუ-ნატალის მშვენება დურბანი „ლომებისა" და „ქურციკებისთვის" ერთნაირად უიღბლო ასპარეზი იყო: ბრიტანელებს იქ აქამდე ორჯერ — 1924 და 1962 წლებში ეთამაშათ და ორჯერვე წაეგოთ, აფრიკელებს კი 1981 წლის აქეთ „კინგზ პარკზე" ერთადერთი თამაში მოუგიათ — 1995 წლის მსოფლიო თასის ნახევარფინალი, საფრანგეთი დატბორილ მოედანზე იღბლად რომ დაამარცხეს.

მასპინძლები ერთობ გაევულისებინა ერთი კვირით ადრე ქეიფთაუნში ბოლო წუთებზე ნაწვნევ მარცხს. სტუმრებს ისინი წალეკვას ექადნებოდნენ, თუმცა კი ტრავმების გამო ოთხი სამმეოთხედელიდან ერთბაშად სამი შეეცვალათ: სმოლის, მულდერისა და ლიუბეს მაგივრად ეხმოთ როსუ, ფანსხოლკვეიკი და მონთგომერი. ამათგან პირველი და მესამე ტესტ-რაგბის ახალბედები იყვნენ, დიდად გამოცდილი კი არც მეორე იყო.

სტუმრებს ერთადერთი კაცი შეეცვალათ — დაშავებულიყო ბებერი უელსელი გარემარბი ევანსი, ვისაც „ლომების" ბოლო სამ ტურნეზე ზედიზედ 7 ტესტი ეთამაშა. ევანსი შეცვალა ინგლისელმა ბენთლიმ, რაგბში ლიგის რაგბიდან რომ დაბრუნდა და აფრიკულ ტურნეზე 7 ლელო გაიტანა.

აფრიკელებმა ქადილი აასრულეს — თამაშის მეტი წილი „ლომებს" შავი დღე აყარეს. ამათ სასწაული სულიერი სიმტკიცე გამოიჩინეს. თუმც სამი ლელო გაუშვეს, მაინც არ გამტყდარან. მეტოქეს ბოლომდე თავდაუზოგავად ბოჭავდნენ. განსაკუთრებით ისახელეს თავი ნალიგარმა გიბსმა და ნაოფიცრალმა როდბერმა.

„ქურციკებმა" მაინც წააგეს და ისევ თამაშის მიწურულს. მათ ექვსი დარტყმა გააფუჭეს. თავიდან ორჯერ მოეცარა ფეხი ჰონიბალს, 21-ე წუთზე კი — მონთგომერის. ამ დროს მასპინძლები დერეფნიდან ძალისმიერი ლელოს გატანას ცდილობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც კარში დარტყმა გადაწყვიტეს.

„ლომებმა" ორჯერ უწიეს მოედნის შუაწელს და ჯენქინსმაც ორი გოლი გაიტანა. აფრიკელები მთლად გადაირივნენ. „ლომების" ლელოსთან ომი გაიმართა. ხაზს იქით ბოლოს ფანდერვესტჰოიზენმა გადააღწია, თუმც მეტოქის კვაჭი ფუდი ზედ ეკიდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ბრიტებმა აბრაგანი ვერ მოიგერიეს, მერე კი იერიშში ჟუბერი ჩაერთო, ზორბა ბენთლი გზად მოისროლა და ლელო ალამთან გაიტანა. „ქურციკები" 15:9 იგებდნენ, მაგრამ მერე ტაქტიკურმა მოუქნელობამ დალუპათ — ჰონიბალმა უკანა ხაზს ბურთი საერთოდ არ ალირსა, დამრტყმელად კი ვერც ნაოპერაციებმა ჟუბერმა ივარგა.

ბრიტებმა რალაც სასწაულად ანგარიში გაათანაბრეს, თუმც კი ბოლო საჯარიმო მათ ცუნდრუკმა ფრანგმა მსაჯმა აჩუქა. „ლომებმა" კლანჭები მერელა გამოაჩინეს: ვუდმა ბურთი საკმაო მანძილით წინ წაწია, თაუნზენდი ზედ ლელოსთან დასცეს, რაჭში მოგებული ბურთი კი კარის წინიდან არეკნით ჯერი გასქოთმა დაკრა და ბრიტთა ამ თაობას კარიერის უდიდესი გამარჯვება მოაპოვებინა.

ახლა სერიის ანგარიში ორით ნოლია. რაკი გასამართი ერთი ტესტილაა, აფრიკელები ბრიტებს ველარ დაეწევიან, მაგრამ თავს კი უთუოდ დადებენ, რათა ამ შაბათს იოჰანესბურგში მოგებით ცოტა მაინც გამოიკეთონ შელახული იმიჯი.

მარცხის მეორე დღესვე რესპუბლიკის მთელმა მედიამ შეაჩვენა რაგბის კავშირის მილიონერი პრეზიდენტი, დოქტორი ლუი ლეიტი და მისი პროტეჟე, ნაკრების მწვრთნელი კარელ დიუპლესი. მარცხი ზოგმა ფრანგ მსაჯს დააბრალა, ზოგმაც აფრიკულ რაგბში გამეფებულ განუკითხაობას და გუნდის სელექტორთა უმეცრებასა და რასისტობას. ქეიფთაუნის სნეულმა არქიეპისკოპოსმა, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა დეზმონდ ტუტუმაც კი იკითხა რიტორიკულად, როდემდე უნდა გატანოს ფერად მორაგბეთა ნიჭის დაუნახაობამო.

წარსულის დიდმა დამრტყმელმა ნაას ბოთამ შენიშნა, ბრიტებმა კი არ დაგვამარცხეს, ჩვენ წავაგეთო. აფრიკელებს რჩევა შეაწია 1974 წლის „ლომმა" ენდი ირვინმაც, ესათ და დიუპლესის განა არ უნდა ესმოდეს, რომ თამაშს უდამარტყმელოდ ვერ მოიგებსო.

ნიკო ვეფხვაძე

## ლომები აფრიკაში

XI თამაში, II ტესტი. 28. 06. დურბანი. კინგზ პარკი. 52 ათასი მაყურებელი

**სამხ. აფრიკა 15:18 ბრიტანეთი**

(5:6). მსაჯი დიდიე მენე (საფრანგეთი)

ქურციკები (სამხრეთი აფრიკა): ჟუბერი; სნაიმანი, მონთგომერი, ფანსხოლკვეიკი, როსუ; ჰონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი — დიურანი, დროცკე, გარვი (თერონი 67); სტრაიდომი, ენდრიუზი; კრუგერი (ფანჰირდენი 50), ფენტერი, ტაიხმანი (კაპ). — 3ლ: ფანდერვესტჰოიზენი (34), მონთგომერი (41), ჟუბერი (54)

ლომები (ბრიტანეთი): ჯენქინსი; ბენთლი, გიბსი, გასქოთი, თეითი (ჰიილი 75); თაუნზენდი, დოუსონი — სმითი, ვუდი, ვოლისი; ჯონსონი (კაპ), დევიდსონი; დალალიო, ჰილი (ბექი 56), როდბერი (მილერი 78). — 5ს (16, 30, 47, 66, 73): ჯენქინსი; ა (77): გასქოთი

XII თამაში. 1. 07. ველკომი. ჩრდილოეთი ნარინჯი 39 (5ლ: ერენტრაუტი, ვაგნერი, დებეერი, ჰერბერტი, საჯარიმო; 4გ და 2ს: ჰერბერტი) — ბრიტანეთი 67 (10ლ: ანდერვუდი 3, სთიმფსონი 2, შოუ 2, ბექი, ბრაქენი, რიგანი; 7გ და ს: სთიმფსონი)

## რალი

# ჩინეთის შეჯიბრებას [illegible]

მრბოლელთა მსოფლიო პირველობაზე აგვისტომდე შესვენებაა, მაგრამ რალები მაინც იმართება. ერთი მათგანი — ჩინეთისა 21-23 ივნისს იყო პეკინის ჩრდილოეთით.

ჩინეთი ავტო-სპორტის საერთაშორისო სამყაროს ახალი, მაგრამ ერთობ აქტიური წევრია. დენ-სიაო-პინის მემკვიდრეებს ფორმულა-1-ის ეტაპის დათრევაც სურთ, გაისად კი მსოფლიო პირველობაში ნაღდად შეატანინებენ თავიანთ რალს, რომელიც წელს თუმც პირველად გაიმართა, აზიაზღვისრეთის პირველობის კალენდარში მაინც მოხვდა.

რალი ურთულესი და მუღამიანი გამოვიდა. 36 გრადუსი სიცხე იდგა, მარშრუტი კი მთიანეთში გადიოდა. 32 ეკიპაჟიდან 13 პირველსავე დღეს გავარდა, შეჯიბრის ბოლომდე კი მონაწილეთა ზუსტად ნახევარმა მიატანა.

ბობოლათაგან რალში „სუბარუს" ლიდერები — ბრიტანელი ქოლინ მაკრეი და შვედი კენეთ ერიქსონი მონაწილეობდნენ. მაკრეი შეჯიბრს თავიდან ბოლომდე ლიდერობდა — 367 კილომეტრი სპეც-ეტაპები 4 საათში, 12 წუთსა და 7 წამში გალია. ერიქსონმა მაკრეისთან 45 წამი წააგო, მესამე ადგილზე გასული იოშიო ფუძიმოტო (ტოიოტა) კი გამარჯვებულს 11.57-ით ჩამორჩა.

მაკრეიმ ძალიან აქო ჩინეთი. თქვა, მაქაური რალი ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ბევრი სხვა. ერთი ეგაა, ცოტა დახვეწა ჭირდებაო.

თენგიზ არტამონოვი

## ტელევიზია

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# მსაჯობა არავის უნდოდა

რომ დაცხა და საშინაო სეზონიც გახურდა, ტრადიციული პრობლემა წამოიჭრა — მსაჯები სანთლით საძებარი გახდნენ. მათ ხომ ხან მწვრთნელები წაუთაქებენ, ხან მოთამაშენი, ხან კი მაყურებლები.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მეგობრულად ხდება. მორაგბეების ნაირი ძმობა და ურთიერთ-გაგება ხომ სპორტის არარა სახეობის მიმდევრებმა არ იციან. ამის გამოა, რომ ჩვენს რაგბის კავშირს დამნაშავის დასჯა ეძნელება ხოლმე.

28 ივნისს „სინის" გათამაშება 4 წუთით შეწყდა, რადგან „ქორების" მწვრთნელმა ბენდიაშვილმა მწარე-მწარე შენიშვნებით წონასწორობიდან გამოიყვანა მსაჯი ნარიმანაშვილი. ბენდიაშვილი თუ მანამდე სიტყვიერ განცხადებებს ჯერდებოდა, იმ თამაშის შემდეგ ოქმშიც კი ჩაწერა:

„ობიექტიურად ვაცხადებ, რომ ნარიმანაშვილი არის კორუმპირებული მსაჯი და რაგბის მომავლისთვის ჩემი აზრით სჯობია ჩამოშორდეს რაგბის. უზნეობის მეტი არაფრის მაგალითს არ იძლევა" (სტილი დაცულია).

გამოხდა ათი დღე. ბენდიაშვილი, რამდენდაც მოვიკითხეთ, არ დაუსჯიათ. ყოველ შემთხვევაში, კავშირის ოფისის „შავ დაფაზე" ამის გამო ბრძანება არავის გაუკრავს. სამაგიეროდ, შევიტყვეთ, რომ მაჩანჩალა „გელათის" მაჩანჩალა „გუმართან" სამი განუცხადებელი ბიჭი უთამაშებია, რის გამოც ერთი ქულაც დააკლდა.

შეგინებული მსაჯი და მისი მაგინებელი მწვრთნელი გუშინწინ ისევ მეგობრულად მასლაათობდნენ და კავშირის ოფისში თამაშის წესების ნიუანსებს მონდომებით არჩევდნენ. ბევრ გუნდსაც ბევრ რამეზე ეწივლა და მწვრთნელთა საბჭოს სხდომიდანაც გვარიანი ხმაური გამოდიოდა.

მერე მოახლოვდა „ქორებისა" და „გუმარის" თამაში. მსაჯობა იქ მყოფთაგან არავინ ინდომა. გაურჩებულ მსაჯებს სახელდახელო თათბირი გაუმართა კავშირის პრეზიდენტმა გეგიძემ. ამასობაში ნარიმანაშვილს შინიდან უკვე ეხმო რობიტაშვილი, ვინაც ბოლოს ისევე ძლივს გადაურჩა მოთამაშეთა რისხვას, როგორც ლებანიძე წინადღით — მაყურებლის თავდასხმას.

## მამლები ავსტრალიაში

VI თამაში, II ტესტი. 28. 06. ბრისბენი. ბალიმორი. 25 ათასი

**ავსტრალია 26:19 საფრანგეთი**

(20:13). მსაჯი კლ. თომასი (უელსი)

ვოლაბები (ავსტრალია): ლარქემი; თიუნი, ლითლი (ჰარდი 61), ჰოვარდი, როფი; ჰორანი, გრეგანი — ჰარი, კაპუტო, მაკქენზი; გიფინი, ილზი (კაპ); რობინსონი, ვილსონი (ქოქბეინი 70), ქროქერი. — 3ლ: ჰარი (6), თიუნი (13), ლითლი (17); გ და 3ს: ილზი

მამლები (საფრანგეთი): სადურნი; ბერნა-სალი, ლამეზონი, კასტენიედი, ვიარი; ოკანი, კარმინო — ტურნერი, დალმაზო, კალიფანო; ბრუზე, მერლი; ბენაზი (კაპ), მანი, პელუ (ლიევრმონი 70). — ლ: კასტენიედი (37); გ და 4ს: ლამეზონი





ბრისბენის ტესტი: ჯეისონ ლითლი გაფრინდა და ფილიპ ბერნა-სალს მკლავში წვდა, ფაბიენ პელუმ კი თროი ქოქერი ქვეშ მოიგდო და მოშთობა დაუპირა

# ტრანს-ტასმანური შეგმის წინ

შაბათს ბლედისლოუს თასის პირველი ტესტია — ზელანდია ქრაისთჩერჩში მასპინძლობს ავსტრალიას. ჰოდა, ტასმანიის ზღვით გაყოფილმა ძველმა მეზობლებმა ივნისში სპარინგ-პარტნიორებად გამოიყენეს მათთან სატურნიროდ ჩასული ლათინები: „ოლ ბლექსმა" ორჯერ ისე გაასახსირა არგენტინა, რომ თავისი რეალური ძალა და სისუსტე ვერც შეიტყო, „ვოლაბიებმა" კი ფრანგები ომებში ორჯერვე თუმც ძლიეს, დიდი შუამარბი ლითლი დაემტკრათ.

„პუმები" ზელანდიელებს მეორე ტესტში პირველზე მეტად გაუძალიანდნენ. ლელო მე-17 წუთზელა გაუშვეს, მეორე ნახევარშიც 12 წუთი იდგნენ მედგრად. თავად კი ლელო 65-ე წუთზე გაიტანეს.

ზელანდიის მრისხანე ბექები — ქალენი, ვილსონი და უმაგა არგენტინელებს დატერორებული ჰყავდათ. „ოლ ბლექსის" თამაშს აშკარად აკლდა სილაღე — იერიშები ორი-სამი ფაზის შემდეგ იფუშებოდა. შეტევაში თავად არგენტინაც იმდენს ცოდავდა, რომ კრონფელდი ხშირად ართმევდა ბურთს. და მაინც, 52-ქულიანი სხვაობით განადგურებული გუნდის კაპიტანმა არბისუმ ბრძანა, თამაშით კმაყოფილი (?) ვარ — ბევრი ვისწავლეთ და ჩვენი ძალა (??) ვირწმუნეთო.

ავსტრალიამ იმით დაიწყო საფრანგეთთან მეორე შერკინება, რითაც პირველი დაასრულა — რბევით. ანგარიში საწყისი მეოთხედის შემდეგ 17:0 იყო. ბურჯი ჰარი ლელოში მოლიდან მისიანებმა შეაბრძანეს, გარემარბ თიუნს ხალელოე პასი მულატმა 9 ნომერმა გრეგანმა მისცა, ლითლმა კი სადურნისა და ვიარის დაბნეულობით ისარგებლა და ბურთი ცხვირწინ აალალა.

„ვოლაბები" მერე თანდათან აიშალნენ, ფრანგებმა კი ბურთაობის გაჩაღება ცადეს. გარდა ამისა, ავი ზნეც გაიხსენეს. პელუმ თვალში ატაკა ცერი ვეტერან ქოქერს. ვალში არც ავსტრალიელი დარჩენილა. მსაჯმა პელუ მკაცრად გააფრთხილა, მაგრამ აულაუუდა ფრანგმა მეორე ტაიმში მაინც საზარლად მოცელა ვილსონი. მსაჯი კვლავ გასაუბრებას დაჯერდა. სხვაფრივ, ბრუზემ რაჭში უწყალოდ დაწიხლა რობინსონი.

48-ე წუთზე „მამლებმა" სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანეს 19:20. მერე გამოჩნდა „ვოლაბთა" კაპიტან ჯონ ილზის ძალა.

ეს 204-სანტიმეტრა ვაჟკაცი წინა დღით 27 წლისა შესრულდა. ფრანგები მატჩის ბოლოს მასპინძლებს რომ მიეძალნენ, ილზმა მეტოქეებიც ბოჭა, კაპუტოს მიერ დერეფანში უხეიროდ მოწოდებული ბურთებიც მოიგო, ერთხელ კი საკუთარ ლელოსთან ნახტომით მოიგერია მუხთალი აბრაგანი, თუმც კი მეტოქეთაგან ამისთვის მაგრად მოხვდა. გულადმა კაპიტანმა ესეც არ იკმარა და ბოლო ორი საჯარიმოც ზუსტად დაარტყა. „ვოლაბებმა" ისევ გაიმარჯვეს და სერია 2-0 მოიგეს.

## პუმები ზელანდიაში

V თამაში, I ტესტი. 28. 06. ჰამილთონი. რაგბი პარკი

UAR

**ახ.ზელანდია 62:10 არგენტინა**

(29:3). მსაჯი ბრ. ქემფსოლი (ინგლისი)

ოლ ბლექსი (ზელანდია): ქალენი ლ და გ; ვილსონი, ბანსი, სთენსნესი ლ, უმაგა ლ; სპენსერი ლ, 6გ და ს, მარშალი — ბრაუნი ლ, ფითსპატრიქი (კაპ) (ალენი ლ), დაუდი; რ. ბრუქი ლ, ი. ჯოუნზი; რენდელი ლ, კრონფელდი ლ, ზ. ბრუქი. — 9ლ, 7გ, ს

პუმები (არგენტინა): ბურადო; სოლერი, სიმონე, არბისუ (კაპ), ალბანეზე; კვეზადა, ფერნანდეს-მირანდა — გრაუ, ლედესმა, რეხიარდო; სპორლედერი, იანესი; ტრავალინი, მარტინი, კამერლინქსი. — ლ: გრაუ; გ და ს: კვეზადა

## მულლაზანზარის პირველობა

აპია. 28. 06. სამოა 62 (31) (10ლ: სოოალო 3, პარამორე 2, ქლარქი, ვაეგა, ეილი, ვაიფალე, ლეაეგა; 6გ: ლეაეგა 5, თაიგამალა) — ტონგა 13 (3) (ლ: ტაუფოუ; გ და 2ს: კ. ტონგა)

ტონგა გატანჯა ექს-„ოლ ბლექმა" და „ვიგანის" ექს-მელიგე ვაიგა თუიგამალამ, ვინაც მეტოქის გუნდში მოთამაშე ოთხი ბიძაშვილიც კი არ დაზოგა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29